	суй	ხვალ	пака
	тҀебиат	ხვალინდელო	пакагъан
	тҀул	ხველა	უგъუ
	хесет		უგъუ
ხატვა	кхьин	ხვლიკი	чурчул
ხაფანგი	желе	ხვნა	цан
	кам [ккам]		цун
	ракъар	ხვრელი	туькIвен
ხაჭო	мукаш	ხიდი	муьгъ
	шур	ხიზილალა	куьр
ხახვი	хивецI	ხილი	емиш
	чичIек		ер-емиш
ხბო	дана		мейва
ხე	тар [ттар]	ხინკალი	хинкIар
ხეირი	файда	ხმა	ван
	хийир		севт
ხელთათმანი	бегъле		сес
ხელი	гъил	ხმალი	къилинж
ხელმოწერა	къул		тур
ხელმძვანელი	регъбер	ხმამალალი ტირილი	ав
ხელმძვანელობა	регъбервал	ხმარება	ишлемишун
ხელმწიფე	пачагъ	ხმაური	ван
ხელობა	пеше		ван-сес
	сенят		велвела
	сеняткарвал		сес
ხელოვნება	гъиликар		тарап-туруп
ხელოვნურად	гъиликардаказ	ხმელეთი	къураMAT
ხელოვნური	гъиликардин	ხმოზა	къурун
ხელოსანი	пешекар		штIუმ ხუნ
	сеняткар	ხმოზა (ვინმესი)	эвер
ხელ-პირი	чинар-гъилер	ხმოზა (მცენარეების)	кьин
ხელფასი	дуллух	ხნიერი	яшлу
	мажиб	ხნული	къуьгъвер
ხელშეკრულება	икърар	ხორბალი	къуьл
ხელშეწყობა	ავაგъарун	ხორცი	як
გადნობაში			кIалхан
ხელწერა	хатI	ხოჭო	пепе
ხეობა	дере	ხოხოზი	ачкар
	кIამ	ხრეში	гъуьдгъвеш
ხერხემალი	къулантар	ხროვა	кIеретI
ხერხი	жуьре	ხრუკვა	кун [ккун]
	къайда	ხტომა	хкадарун
	мишер	ხუთი	вад
	саягъ	ხუთმაზათი	хемис

ხუთ-ხუთი	вад-вад	ჯერ კიდევ	генანი
ხუთჯერ	вадра		гиламаз
ხუმარა	зарафатчи		гъеле
	келекбаз		гъелелиг
	къаравили	ჯვარი	хаш
	зарафат	ჯიბე	жибин
	къаравили	ჯინაზე	хъиляй
ხშირად	фад-фад	ჯიუტად	терсдаказ
ჯადოქარი	кIамс	ჯიუტი	гъუъжеткар
	кускафтар		кегъкир
ჯადოქრობა	суъгъуър		терс
	суъгъуърчивал	ჯიში	жуърე
ჯალათი	жаллат		менсеб
ჯამი	жем	ჯიხური	туъквен
	кур [ккур]	ჯოხი	лаш
ჯამში	виривайдиз		тIвал
ჯანმრთელად	сагъдаказ	ჯოჯოხეთი	жегъеннем
ჯანმრთელი	жанлу	ჯუჯა (მცენარე)	кIачIичI
	пурцух	ჯღანია	маймун
	сагъ	ჰაერი	გავა
	сагълам	ჰეი!	я
ჯანმრთელობა	кеф-გьალ	ჰეპატიტი	саралух
	саგъვალ	ჰიპნოზი	суъгъуър
	саგъламვალ	ჰუმანურად	инсафвилелди
	саგълугъ		инсафлудаказ
	саგълугъვალ	ჰუმანური	инсаф
ჯანმრთელობის	кефи		инсафлу
მდგომარეობა		ჰუმანურობა	итимვალ
ჯანმრთელობისთვის	сагълугъдай		инсафვალ
ჯანსაღი	гумрагъ		инсафлуვალ
ჯარი	къушун		
ჯარიმა	жерме		
ჯაშუში	жасус		
ჯაშუშობა	жасусვალ		
ჯაჭვი	цIირგъ		
ჯგუფი	кIеретI		
ჯგუფ-ჯგუფად	кIеретI-кIеретI		
ჯდომა	ацукъун		
ჯეირანი	жейран		
ჯერ	гъелелиг		
	рекъера		
	садра		
	сеферда		
ჯერ ახალი	цIийизамаз		

ონომასტიკა

ტოპონიმები:

ლეზგიური ტოპონიმის გავრცელებულია მეტწილად დაღესტნის სამხრეთსა და აზერბაიჯანის ჩრდილოეთ ნაწილში. მასში ხშირად გვხვდება შემდეგი ტერმინები:

Агъа - ქვემო, ქვედა

Булах - წყარო

Векъ - მდელო

Вини - ზემო, ზედა

Вир - ტბა

Гъвечи - მცირე

Дере - ხეობა, ველი (აზ., ლეზგ., თურქ., თურქმენ.)

Дере, дерре - ხეობა, ველი, მდინარე (სპარს.)

Дугун - ველი (ლეზგ., თაზ.)

Еке - დიდი

Къазма - ხუტორი, ქოხი

Къазмаяр - ახალშენი

КІам - ხეობა, ღრე

КІукІ - მწვერვალი

КІунтІ - ბორცვი

Куъхне - ძველი

Раг - ჭიუხი, კლდე

Раг - ქედი, მთაგრეხილი, სერი, თხემი (ოს.)

Хуър - სოფელი

ЦІийи - ახალი (ლეზგ., თაზ.)

Щиргъ - ქედი

Чапла - მარცხენა

Чарах - კლდე

Чешме - წყარო (სპარს., თურქ., თურქმენ.)

Шегьер – ქალაქი (თურქ.)

ლეზგიურ ტოპონიმთა მნიშვნელოვანი ნაწილი ანტროპონიმთაგან არის ნაწარმოები. ანტროპონიმი (მამაკაცისა ან ქალის საკუთარი სახელი, ზედმეტსახელი ან სხვ.) შეიძლება წმინდა ფუძის სახით იყოს წარმოდგენილი ან სუფიქსით იყოს გართულებული, რომელიც ტოპონიმს კუთვნილების მნიშვნელობას სძენს; ეს სუფიქსებია:

-ან, -ანд, -ран, -ранд; -ван, -ванд (-ван და -ванд – ძველი არაპროდუქტიული სუფიქსებია); **-ен, -енд, -рен, -ренд; -ин, -инд, -дин, -динд, -д, -рин, -ринд; -ун, -унд; -уьн; -уьнд.**

ამას გარდა, სამურულ დიალექტებში დასტურდება შემდეგი სუფიქსები: **-ан, -зен, -зун, -зин, -зуьн, -занд, -зенд, -зинд.**

ხშირად ტოპონიმი იწარმოება მრავლობითი რიცხვის სუფიქსის მეშვეობით. მრავლობითი რიცხვის სუფიქსებია: **-ар, -ер, -йар, -бур** და **-вар** – ბოლო მაწარმოებელი ძველია, დღეს არაპროდუქტიული და ერთვის ხმოვანფუძიან სახელებს. დანარჩენ მაწარმოებლებს რაც შეეხება, **-ар, -ер** თანხმოვანფუძიან სახელებს დაერთვის, **-йар** – ხმოვანფუძიან სახელებს, ხოლო **-бур** – ზედსართავ სახელებს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ **-ар** სუფიქსი დაერთვის ტოპონიმებს, თუ მის ბოლო მარცვალში უკანა რიგის ხმოვანია, ხოლო **-ер** – თუ წინა რიგის ხმოვანია. ამას გარდა, ამ ორი სუფიქსის დისტრიბუციაზე მოქმედებს მახვილი: თუ მახვილი მოუდის ტოპონიმის ფუძეს, იგი დაირთავს **-ар** სუფიქსს, თუ თვით სიფიქსის ხმოვანია მახვილიანი, მაშინ გვაქვს **-ер** სუფიქსი, მაგ., **Учар, Учер; Изар,**

Изер; Зикар, Зикер.

ლეზგიური ტოპონიმები აგრეთვე სხვადასხვა ლოკატიური სუფიქსების მეშვეობით იწარმოება; ეს სუფიქსებია: **-аз, -ез, -из, -уз; -диз; -раз, -рез, -риз, -руз; -а, -е, -да; -ал, -ел, -дал, -рал, -рел, -зал** (სამურულ დიალექტებში); **-ав, -ев, -ив, -ув, -увь, -див; -ак, -ек, -ик, -ух, -ук, -дик**. ამას გარდა, ტოპონიმებში გამოიყოფა უძველესი ლოკატიური სუფიქსები: **-ва, -вал, -ваав, -вак**.

ტოპონიმების ჯგუფი ლეზგიურ ენაში, რომელიც აღნიშნავს ქვეყანას, ოლქს, პროვინციას, ქალაქს, კონკრეტული ეთნოსის, ტომის, გვარის, ოჯახის საცხოვრისს, იწარმოება შემდეგი სუფიქსების მეშვეობით: **-ат, -эт, -ет, -ит, -ут; -уьт; -ват, -вет, -вит, -вут, -вуйт**. როდესაც ტოპონიმის ფუძე დაბოლოებულია თანხმოვნით, ის ხმოვანზე დაწყებულ სუფიქსებს დაირთავს, ხოლო თუ ტოპონიმი ხმოვანფუძია – იგი ვ ბგერიან სუფიქსებს დაირთავს, მაგ., **Алат, Араkit, Кэлет, Лечет, Лекит, Суват, Садават, Салатав, Сахават**.

ამას გარდა, სუფიქსებად მიიჩნევა შემდეგი ფორმები:

ჰიდრონიმებს ლეზგიურ ენაში ხშირად აწარმოებს ელემენტები **вир/уьр/ир** და **вацI**. **вир** ლეზგიურ ენაში „ტბას“ აღნიშნავს (მისგან ნაწარმოებია **уьр/ир** ფორმანტები), ხოლო **вацI** – „მდინარეს“; მაგ., **Кулан вацI** (სამურის ლეზგიური სახელწოდება, ზედმიწ. „შუა მდინარე“); **Гуьлгери вацI, Чехи вир** (ზედმიწ. „დიდი ტბა“), **Четкун вир** და სხვ.

სოფლებისა და ქალაქების სახელწოდებებში ხშირია **-хуьр** ელემენტი, რომელიც „სოფელს“ აღნიშნავს, მაგ., დაღესტანში: **Бутхуьр, Касумхуьр, Мегьеремхуьр, Курехуьр (Хурехуьр)**; აზერბაიჯანში: **Ничефхуьр, Ичехуьр, Цийихуьр, Мангулудхуьр**.

გვაქვს ტოპონიმები, რომლებსაც **-аран** ელემენტი, მაგ., **Набаран,**

Шабаран. სიტყვა **არან** ლეზგიურ ენაში მთის ზაფხულის საძოვრებს აღნიშნავს.

ლეზგიურში ხშირია კომპოზიტური წარმოების ტოპონიმები. გვხვდება ორი ფუძისაგან შემდგენილი ტოპონიმები, მაგ., **Асван** (Ас+ван), **Каргамиш** (Кар+гамиш), **Аркас** (Ар+кас), **Манали** (Ман+Али); ორი ფუძისა და ფორმანტისაგან შემდგარი ტოპონიმები, მაგ., **Аскаран** (=Ас+кар+ан), **Картапак** (=Кар+тап+ак), **Марасанд** (=Мар+ас+анд), **Мананали** (=Ман+ан+Али).

მართწერის თვალსაზრისით ლეზგიურ ენაში ერთფუძიანი არანაწარმოები და ნაწარმოები ტოპონიმები ერთად იწერება.

კომპოზიტი-ტოპონიმები ლეზგიურ ენაში დეფისით იყოფა და, ამასთან, ორივე კომპონენტი იწყება მთავრული ასო-ბგერით, მაგ., **Левер-Кам** [левер-ккам], **Агъа-СтІал**, **Вини-Захурап** და სხვ.

აღწერითად ნაწარმოები ტოპონიმები ლეზგიურში იწერება ცალ-ცალკე, მაგ., **Тек ппир элей ккам**, **Арна гвай джига**, **КІамаp чиле авай булаx**. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის ტოპონიმების ტრანსლიტერაციის წესი სხვაგვარია. ისინი დეფისით იწერება და გამოყოფილია მხოლოდ ბოლო ელემენტი, მაგ., **თექფირელეი-ქამი**, **არნაგვაი-ჯიგა**, **კამარჩილეავაი-ბულახი** და სხვ.

წარმოვადგენთ ლეზგიურ ტოპონიმებს:

მდინარეების, მთების და სხვა გეოგრაფიული სახელწოდებანი,

რომლებიც არ უკავშირდება დასახლებულ პუნქტებს:

ლენგუა	ქართული ტრანსლიტერაცია
Аламише	ალამიშე
Аран	არანი
Ахццагърын-ВацI	ახტიჩაი (მდინარე)
Барзу	ბარზუ
Бугъда-Тепе	ბულდა-თეფე
Гуьлгери-ВацI	გიულგერიჩაი (მდინარე)
Гуьне-Пад	გიუნე-ფადი
Гъаджи	ჰაჯი (გოგირდის წყარო)
Дауз-Наур	დაუზ-ნაური (ტბა)
Дузлах	დუზლახი
Дулама	დულამა
Зардиян	ზარდიანი
Кайи кIеле [Ккайи кIеле]	ქაიკელე
Куьре	ქიურე
Къуба	ყუბა
Къухмаза кIунтI	ყუხმაზაკუნტი
Къулан-ВацI	ქულანჩაი; იხ. სამური
КIарцIи кIამар	კარწიკამარი
Лагъанар	ლაჰანარი
ЛукIар-Къеле	კულარ-ყალა (ციხე)
Магъу-Дере	მალუ-დერე
Муьшкуьр [Муьшккуьр]	მუმქური
Нерен-ВацI	რუბასი (მდინარე)

Рычал-ВацI	რიჩალ-სუ (მდინარე, გოგირდის წყარო)
Самур	სამური (მდინარე)
Самур-Дере	სამურის ველი
Сенгер-КIунтIар	სენგერ-კუნტარი
Улус-Магьал	ულუს-მაჰალი
Хандин тIул	ხანდინტული
Хушмензил	ხუშმენზილი
Чапар-Къеле	ჩაფარ-ყალა (ციხე)
Чархи-КIам	ჩარხი-კამი
Шах-Дагъ	შახდალი
Шалбуз-Дагъ	შალბუზდალი
ШаракIун	შარაკუნი
ЯркIи магьал	იარკი-მაჰალი

დასახლებული პუნქტები:

ლეზგიური	ქართული (დასახლებული პუნქტის ოფიციალური სახელწოდება ლეზგიური ენის სპეციფიკის გათვალისწინებით)
Аваран	ავარანი (აზერბ.)
Аваран къишлах	ავარან-ყიშლახი (აზერბ.)
Агъа-Арагъ(ар)	აშადა-არადი (დაღესტ.)
Агъа-АрхитI(ар)	აშადა-არხიტი (დაღესტ.)
Агъавердиуба	აღავერდიუბა (აზერბ.)

Агъа-ЗахитI(ар)	აშალა-ზახიტი (დალესტ.)
Агъа-Кран	ალა-ქრან; იხ. აშალა-სტალ
Агъа-Къартасар	აშალა-ყართას (დალესტ.)
Агъа-ЛакIар	აშალა-ლაგარ (აზერბ.)
Агъа-Макъар	აშალა-მაცა (დალესტ.)
Агъарегъимуба	ალარაჰიმუბა (აზერბ.)
Агъа-СтIალ	აშალა-სტალი (დალესტ.)
Агъахуър	ალახიური; იხ. აშალა-სტალი
Агъа-ЦIинитI(ар)	აშალა-წინიტი (დალესტ.)
Агъаширинуба	ალამირინუბა (აზერბ.)
Агъа-Ярагъ(ар)	აშალა-იარალი (დალესტ.)
Агълаб(ар)	ალლაბი (დალესტ.)
Агъмедуба	აკმედუბა (აზერბ.)
Азадугъли	აზად-ოღლი (დალესტ.)
Алидхуър	ალიქენთი (დალესტ.)
Алкъвадар	ალყადარი (დალესტ.)
Алпан	ალფან (აზერბ.)
Амсар	ამსარ (აზერბ.)
Амсар-Къазма	ამსარ-ყაზმა (აზერბ.)
Асадахуър	ასადქენთი (აზერბ.)
Асалдхуър	ასალიქენთი (დალესტ.)
Ахцегъ(ар) [Ахццагъ(ар)]	ახტი (დალესტ.)
Ашар	აშარ (დალესტ.)
Ашахуър	აშაქენთი (დალესტ.)
Байуба	ბაიუბა (აზერბ.)
Бала Къусар-Къишлах	ბალაყუსარ-ყიშლახი (აზერბ.)

Бахцугъ [Бахцугъ]	ბახცული (დალესტ.)
Берекахуър	ბერექენთი (დალესტ.)
Бигер	ბიგერი (დალესტ.)
Билбилхуър	ბილბილქენთი (დალესტ.)
Билбилхуърუьн-Къазмаяр	ბილბილ-ყაზმალიარი (დალესტ.)
Билиж(არ)	ბელიჯი (დალესტ.)
Бугъда-Тепе	ბულდა-თეფე (დალესტ.)
Бурши-Макъар	ბურში-მაცარი (დალესტ.)
Бутахуър	ბუთქენთი (დალესტ.)
Бут(а)хуърუьн-Къазмаяр	ბუთ-ყაზმალიარი (დალესტ.)
Вандам	ვანდამი (აზერბ.)
Векъелар	ვეყელარი (დალესტ.)
Вини-Арагъ(არ)	იუხარი-არალი (დალესტ.)
Вини-АрхитI(არ)	იუხარი-არხიტი (დალესტ.)
Вини-ЗахитI(არ)	იუხარი-ზახიტი (დალესტ.)
Вини-Къартасар	იუხარი-ყართასი (დალესტ.)
Вини-Макъар	იუხარი-მაცარი (დალესტ.)
Вини-СтIალ(არ)	იუხარი-სტალი (დალესტ.)
Винихуър	ვინიხური; იხ. იუხარი-სტალი
Вини-ЦIинитI(არ)	იუხარი-წინიტი (დალესტ.)
Вини-Ярагъ(არ)	იუხარი-იარალი (დალესტ.)
Вурва	ურვა (აზერბ.)
Гада-Зейхуър	გადა-ზეიხური (აზერბ.)
ГазардкIам	გაზარდიკამი (დალესტ.)
Гандурар	განდირარი (დალესტ.)
Гарагъар	გარალი (დალესტ.)

Гачалхуър	გაჩალქენთი (დაღესტ.)
Гдум [Гыттым]	გტიმი (დაღესტ.)
Гелхен	გელხენი (დაღესტ.)
Герей	გერეი (აზერბ.)
Герей кьишлах	გერეიყიშლახი (აზერბ.)
Гилиг	გილიარი (დაღესტ.)
Грар	გრა (დაღესტ.)
Грар(ин) ятах	გრარ-იათახ (დაღესტ.)
Гуман	გუმან; იხ. ნიუთიული
Гъепцегъ [Гъепцегъ]	ღაფცაჰი (დაღესტ.)
Гъетягъ [Гъетягъ]	ულუ-ღატალი (დაღესტ.)
Гъугъан	ღოღანი (დაღესტ.)
Гъуьгъвез	ღოღაზი (დაღესტ.)
Гъаджалахуър	ჰაჯალქენთი (აზერბ.)
Гъаджимамедуба	ჰაჯიმამედუბა (აზერბ.)
Гъаджирустамуба	ჰაჯირუსთამუბა (აზერბ.)
Гъаджихуър	ჰაჯიხიური (აზერბ.)
Гъезерхуър	ჰეზერქენთი (დაღესტ.)
Гъезре	ჰეზრე (აზერბ.)
Гъиль	ჰილი (აზერბ.)
Дардархуър	ღარღარქენთი (დაღესტ.)
ДаркІуш	ღარკუში (დაღესტ.)
ДаркІуш(рин)-Къазмаяр	ღარკუშ-ყაზმალიარი (დაღესტ.)
Даштицур [Дашттицур]	ღუშტიცური (დაღესტ.)
Дегъне	ღეჰნე (აზერბ.)
Демирар	ღემირარი (დაღესტ.)

Дигагъ	დიგაჰი (აზერბ.)
Дигагъуба	დიგაჰუბა (აზერბ.)
Дуружа	დურუჟა (აზერბ.)
Дустаируба [Дусттаируба]	დუსტაირუბა (აზერბ.)
Жигъ-Жигъ	ჯიღ-ჯიღი (აზერბ.)
Зейхур	ზეიხური (აზერბ.)
Зиндан-Муругъ	ზინდან-მურული (აზერბ.)
Зугърабахуър	ზუჰრაბქენთი (დალესტ.)
Зугърабхуъруьн-Къазмаяр	ზუჰრაბქენტ-ყაზმალიარი (დალესტ.)
Ивигар	ევიგარი (დალესტ.)
Идрисуба	იდრისუბა (აზერბ.)
Имамкъуликент	იმამყულიქენთი (აზერბ.)
Испик [Исппик]	ისპიქი (აზერბ.)
Ичин(ар)	იჩინი (დალესტ.)
ИчІа	იჰა (დალესტ.)
Калук [Ккылык(ар)]	კალუქი (დალესტ.)
Калунхуър [Ккалунхуър]	კალუნხიური (აზერბ.)
Камархуър [Ккамархуър]	კამარქენთი (აზერბ.)
Камархуър	ქამარქენთი (დალესტ.)
Качалхуър [Ккачалхуър]	კაჩალხიური; იხ. გაჩალქენთი
Кашанхуър [Ккашанхуър]	კაშქენტი (დალესტ.)
Квардал	კვარდალი (დალესტ.)
Керимханар	ქერიმხანარი (დალესტ.)
Кипиджар	ქუფჩალი (აზერბ.)
Кириг	ქირიგი (აზერბ.)
Кичер [Киччер]	ქიჩე (დალესტ.)

Кузун	ქუზუნი (აზერბ.)
Кузун-Къишлах	ქუზუნ-ყიშლახი (აზერბ.)
Кукваз(ар) [Куккваз(ар)]	ქუკვაზი (დაღესტ.)
Кумухъ [Ккумухъ]	კუმუხი (დაღესტ.)
Куркар [Кырккар]	ქირკა (დაღესტ.)
Куркар(ин)-Къазмаяр [Кырккар(ин)- Къазмаяр]	ქირკა-ყაზმალიარი (დაღესტ.)
Куркун [Ккурккун]	კურკუნ (აზერბ.)
КуркIурхуър	ქურკურქენთი (დაღესტ.)
Курхуър	ქურქენთი (დაღესტ.)
Куфуба	ქუფუბა (აზერბ.)
Кучунар [Куччунар]	ქჩუნი (დაღესტ.)
Кучун-Къазмаяр [Куччун-Къазмаяр]	ქჩუნ-ყაზმალიარი (დაღესტ.)
Куьгъне-Худат [Ккуьгъне-Худат]	ქუჰნე-ხუდათი (აზერბ.)
Куьснет	ქუსნეთი (აზერბ.)
КцIар	ქწარი; იხ. ყუსარი
Къаладжух I	ყალაჯუხი (დაღესტ.)
Къаладжух II	ყალაჟიკი (აზერბ.)
Къанархуър	ყანარქენთი (აზერბ.)
Къансавхуър	ყანსოვქენთი (დაღესტ.)
Къара-Кюре	ყარა-ქიურე (დაღესტ.)
Къемерван	ყემერვანი (აზერბ.)
Къирахли	ყირახლი (აზერბ.)
Къирахуба	ყირახუბა (აზერბ.)
Къудиялуба	ყუდიალუბა (აზერბ.)
Къуйсун	ყუისუნი (დაღესტ.)

Къурукалар [Къуруккалар]	ყურკალი (დაღესტ.)
Къуруш	ყურუში (დაღესტ.)
Къусар	ყუსარი (აზერბ.)
Къутунхъар [Къыттынхъар]	გდინკი (დაღესტ.)
Къучагъ(არ)	ყურჩალი (დაღესტ.)
Къучагъар	ყურჩალარი (აზერბ.)
Къавалар	ყავალარი (დაღესტ.)
КъақIар	ყაკა (დაღესტ.)
Къасумхуър	ყასუმქენთი (დაღესტ.)
КъванцIил	ყონწილი (დაღესტ.)
Къеан	ყეანი (დაღესტ.)
КъепIир	ყაპირი (დაღესტ.)
КъепIир-Къазмаяр	ყაპირ-ყაზმალიარი (დაღესტ.)
Къехуъл	ყახული (დაღესტ.)
КъечIреш	ყეჭრეში (აზერბ.)
Къилер	ყილერი (დაღესტ.)
Къулан-ЗахитI(არ)	ორტა-ზახიტი (დაღესტ.)
Къулан-СтIал(არ)	ორტა-სტალი (დაღესტ.)
Къуланхуър	ყულანხიური; იხ. ორტა-სტალი
Къурагъ	ყურაპი (დაღესტ.)
Къуру-кам [Къуру-Ккам]	ყურუ-კამი (აზერბ.)
Къуьгъуър	ყიულიური (აზერბ.)
Къуьгъуъруба	ყიულიურუბა (აზერბ.)
Къуьчхуър	ყოჩხიური (დაღესტ.)
КIама-Кучунар	კამა-ქუჩუნნი (დაღესტ.)
КIахцугъ [КIахцугъ]	კახცუპი (დაღესტ.)

КIварчагъ	კარჩალი (დაღესტ.)
КIеле	კელე (დაღესტ.)
КIелегъ	კელეჰი (აზერბ.)
КIелегъуба	კელეჰუბა (აზერბ.)
КIеледუыз	კელედიუზი (აზერბ.)
КIеле-Худат	კელე-ხუდათი (აზერბ.)
КIимихуър	კიმიხიური (დაღესტ.)
КIირი(яр)	იკრა (დაღესტ.)
КIირийрин ятах	კირი-იათახ (დაღესტ.)
КIурукIнар	ბალუჯა (დაღესტ.)
КIутIлар	კუტულ (დაღესტ.)
Лака(рар)	ლაქა (აზერბ.)
Лацар [Лаццар]	ლაზა (აზერბ.)
Лгар	ლგაფირქენთი (დაღესტ.)
Лезгидигагъ	ლეზგიდიგიაჰი (დაღესტ.)
Лечет	ლეჩეთი (აზერბ.)
ЛукIар	კულარი (დაღესტ.)
Луткун	ლუთქუნი (დაღესტ.)
Луткун(рин) ятах	ლუთქუნ-იათახი (დაღესტ.)
Магъмутхуър	მაჰმუთქენთი (დაღესტ.)
Макъар I	მაყა (დაღესტ.)
Макъар II	მაყარი (დაღესტ.)
Малладхуър	მალაქენთი (დაღესტ.)
Мамраш(ар)	მამრაში (დაღესტ.)
Манафуба	მანაფუბა (აზერბ.)
Манкъулидхуър	მანყულიდხიური; იხ.

	იმამყულიქენთი
Манчаруба	მანჩარუბა (აზერბ.)
Мардануба	მარდანუბა (აზერბ.)
Мацар [Маццар]	მაზა (დალესტ.)
Мегъарамдхуър	მაჰარამქენთი (დალესტ.)
Мегътидхуър	მეჰთიქენთი (დალესტ.)
Мехкергъар [Мехккергъар]	მეხკერლი (დალესტ.)
Миграгъ(ар)	მიგრალი (დალესტ.)
Миграгъ-Къазмаяр	მიგრალ-ყაზმალიარი (დალესტ.)
Мискискар [Мисккисккар]	მისქინჯა (დალესტ.)
Мичегъ [Миччегъ]	მიჯაჰი (დალესტ.)
Муджугъ	მუჯული (დალესტ.)
Муругъар	მურულუბა (აზერბ.)
Мучугъар	მუჩულარი (აზერბ.)
Муъгъверган	მიულვერგანი (დალესტ.)
Муъгъверган-Къазмаяр	მიულვერგან-ყაზმალიარი (დალესტ.)
Муъхтедир [Муъхттедир]	მიუხტედირი (აზერბ.)
Муъшкуър [Муъшккуър]	მუშქიური (აზერბ.)
Набран	ნაბრანი (აზერბ.)
Нагъиуба	ნალიუბა (აზერბ.)
Наджефхуър	ნეჯეფქენთი (აზერბ.)
НуъцIуъгъ	ნიუთიული (დალესტ.)
Пиперхуър [Пипперхуър]	ფიპერქენთი (დალესტ.)
Пиперхуъруън-Къазмаяр	ფიპერქენტ-ყაზმალიარი (დალესტ.)
[Пипперхуъруън-Къазмаяр]	
Пирал	ფირალი (აზერბ.)

Пиркъулиуба	ფირყულიუბა (აზერბ.)
Питидхуър [Питтидхуър]	ფტიქენთი (დაღესტ.)
Регъимуба	რეჰიმუბა (აზერბ.)
Ругун	რუგუნი (დაღესტ.)
Рухун(არ)	რუხუნი (დაღესტ.)
Сайтархуър [Сайттархуър]	საიტარქენთი (დაღესტ.)
Салиян	სალიანი (დაღესტ.)
Самур	სამური (დაღესტ.)
Сараг(არ)	სარაგი (დაღესტ.)
Сардархуър	სარდარქენთი (დაღესტ.)
Селимуба	სელიმუბა (აზერბ.)
Сибируба	სიბირუბა (აზერბ.)
Сиидар	საიდქენთი (დაღესტ.)
Смуъгъуъл(არ)	სმულული (დაღესტ.)
Советский	სოვეტსკოე (დაღესტ.)
Спик [Сппик(არ)]	ისპიქი (დაღესტ.)
СтІалр(ин)-Къазмаяр	აშადა-სტალ-ყაზმალიარი (დაღესტ.)
Суваджал	სუვაჯალი (აზერბ.)
Сумагъли	სუმადლი (აზერბ.)
СутІур	სუტური (აზერბ.)
Татархан(არ)	თათარხანქენთი (დაღესტ.)
Теки(яр)	თექიპირქენთი (დაღესტ.)
Тител [Титтел(არ)]	თიტელი (დაღესტ.)
Тркал [Трккал]	თრკალი (დაღესტ.)
Тпагъирджал	ტაჰირჯალი (აზერბ.)
Тпагъирхуър	ტაჰირქენთი (დაღესტ.)

Тпагырхуьруьн-Къазмаяр	ტაპირქენთ-ყაზმალიარი (დალესტ.)
Узунмеше	უზუნმეშე (აზერბ.)
Укуруба	უქურუბა (აზერბ.)
Укурчай	უქურჩაი (აზერბ.)
УкIуз(ар)	უკუზი (დალესტ.)
Урсун(ар)	ურსუნი (დალესტ.)
Уруджба	ორუჟბა (დალესტ.)
Усар	უსუგი (დალესტ.)
Ухул	უხული (დალესტ.)
Ушугъ	უსულ-ჩაი (დალესტ.)
Ушур	უსური (დალესტ.)
Уьнуьгъ	ალიგი (აზერბ.)
Уьшкуьн [Уьшккуьн]	უმკიუნი (აზერბ.)
Фарзалиуба	ფარზალიუბა (აზერბ.)
Филер	ფილია (დალესტ.)
Филифли	ფილიფლი (დალესტ.)
Фиригъ	ფრილი (დალესტ.)
Фияр	ფიი (დალესტ.)
Хакидхуьр [Хаккидхуьр]	ხაკიქენთი (დალესტ.)
Хвередж	ხვერეჯი (დალესტ.)
ХенджелкIеле	ხანჯალ-კალა (დალესტ.)
Хкем [Хккем]	ხკემი (დალესტ.)
Хпедж [Хппедж]	ხპეჯი (დალესტ.)
Храх	ხრახი (დალესტ.)
Хтун [Хттун(ар)]	ხტუნქენთი (დალესტ.)
Хтун-Къазмаяр	ხტუნ-ყაზმალიარი (დალესტ.)

Худат	ხუდათი (აზერბ.)
Худжад-Къазмаяр	ხოჯა-ყაზმალიარი (დაღესტ.)
Худжадхуър	ხოჯაქენთი (დაღესტ.)
Хурар	ხრარი (აზერბ.)
Хутаргъ [Хуттаргъ(ар)]	ხუტარდი (დაღესტ.)
Хуълуьхъ	ხიულიუხი (აზერბ.)
Хуьпуькъ I [Хуьппуькъ]	ხპეყი (დაღესტ.)
Хуьпуькъ II [Хуьппуькъ]	ხპიუყი (დაღესტ.)
Хуърел I	ხორელი (დაღესტ.)
Хуърел II	ხორელი (აზერბ.)
Хуърел(рин)-Къазмаяр	ხორელ-ყაზმალიარი (დაღესტ.)
Хуърехуър	ხიურეხიური (დაღესტ.)
Хуъруьг	ხრიუკი (დაღესტ.)
Хъал	ხალი (დაღესტ.)
Хъартас-Къазмаяр	ხართას-ყაზმალიარი (დაღესტ.)
Хъимил	ხიმილი (აზერბ.)
Хъимил-Къишлах	ხიმილ-ყიშლახი (აზერბ.)
ХъипитI [ХъиппитI(ар)]	ხპიტარ (დაღესტ.)
Хъукъвар	ხუყი (დაღესტ.)
ХъуълуьтI(ар)	ხლიუტი (დაღესტ.)
Хъуъляр [Хъуълაьр]	ხულია (დაღესტ.)
Хълер	ხლერი (აზერბ.)
Цацархуър [Цаццархуър]	ჯაჯაქენთი (დაღესტ.)
Цилинг(ар)	ცილინგი (დაღესტ.)
Цилингрин ятах	ცილინგ-იათახ (დაღესტ.)
Цицик I [Циццик]	ჯიჯიქი (დაღესტ.)

Цицик II [Циццик]	ზიზიქი (აზერბ.)
ЦицIер	ციწერი (დაღესტ.)
ЦицIიგъ	ციწილი (დაღესტ.)
Цлахъ	ცლახი (დაღესტ.)
Цмур	ცმური (დაღესტ.)
Цнал	ცნალი (დაღესტ.)
Цуругъ [Ццырыгъ(ар)]	ზრილი (დაღესტ.)
Цуцай [Цуццай]	სუსაი (აზერბ.)
ЦIараххуър	წარახქენთი (დაღესტ.)
ЦIелегуън	წელელიუნი (დაღესტ.)
ЦIелегуън-Къазмаяр	წელილიუნ-ყაზმალიარი (დაღესტ.)
ЦIехуъл	ზუხული (აზერბ.)
ЦIехуълуба	ზუხულუბა (აზერბ.)
ЦIийи-Гъепцегъ [ЦIийи-Гъепццегъ]	ნოვი-ღაფწალი (დაღესტ.)
ЦIийи-Къуруш	ნოვი-ყურუში (დაღესტ.)
ЦIийи-Макъარ	ნოვი-მაცა (დაღესტ.)
ЦIийихуър	წიიხიური (დაღესტ.)
ЦIийихуъруба	ზეიხურუბა (აზერბ.)
Чантархуър	ჩანთარქენთი (დაღესტ.)
Чახчახ [Ччახччახ]	ჩახ-ჩახი (დაღესტ.)
Чახчახ-Къазмаяр	ჩახჩახ-ყაზმალიარი (დაღესტ.)
Чепелар [Ччеппелар]	ჯეპელი (დაღესტ.)
Чепер I [Ччеппер]	ჯაბა (დაღესტ.)
Чепер II [Ччеппер]	ჩეპერი (აზერბ.)
Четкуън	ჩეთქიუნი (აზერბ.)
Чинартала	ჩინართალა (აზერბ.)

Чпир [Чппир]	ჩპირი (აზერბ.)
Чухуруба	ჩუხურუბა (აზერბ.)
Чуьхверхуьр	ჩუხვერქენთი (დალესტ.)
Чпагар	ჭაგარ (აზერბ.)
Чпилихь	ჭილიხი (დალესტ.)
Чпилихь(არ)	ჭილიხარ (დალესტ.)
Чпулавар	ჭულავარ (დალესტ.)
Шимихуьр	შიმიხიური (დალესტ.)
Шихидхуьр	შიხიქენთი (დალესტ.)
Штул [Шттул(არ)]	შტული (დალესტ.)
Шудугь	შუდული (აზერბ.)
Шуллар	შოლარი (აზერბ.)
Шутун [Шуттун]	შუტუნი (აზერბ.)
Эвежугьар	ევეჟუდარი (აზერბ.)
Экен(არ)	ექენდილი (დალესტ.)
Эсетар	ესეთარი (დალესტ.)
Эхниг	ახნიგი (დალესტ.)
Эчехуьр	ეჩექენთი (აზერბ.)
Якьубуба	იაცუბუბა (აზერბ.)
Ялама	იალამა (აზერბ.)
Ялахь(არ)	იალახ (დალესტ.)
Ялцугь I [Ялццугь(არ)]	იალცული (დალესტ.)
Ялцугь II [Ялццугь(არ)]	იალჯული (დალესტ.)
Ярагь-Къазмаяр	იარად-ყაზმალიარი (დალესტ.)
Яргун	იარგუნი (აზერბ.)
Ярудагь	იარუდალი (აზერბ.)

Ярукъвалар	იარუყულარ (დაღესტ.)
Ясаб	იასაბი (აზერბ.)
Ясабуба	იასაბუბა (აზერბ.)

ანთროპონიმები:

ლეზგიური ანთროპონიმია ძალზე მდიდარია. ნ. აბდულმუთალიბოვის „ლეზიურ საკუთარ სახელთა ლექსიკონში“ (აბდულმუთალიბოვი 2004). ლექსიკონში წარმოდგენილია დაახლ. 4500 სიტყვა. ჭარბობს არაბული, სპარსული და თურქული წარმოშობის ანთროპონიმები, რომელთაც ლეზგიურში მაჰმადიანობასთან ერთად შემოაღწიეს; მაგ., არაბული:

კაცის საკუთარი სახელები: Абас, Абдукерим, Абдурашид, Абубакар, Абусаид, Абуталиб, Агъмед, Адш, Азиз, Али, Алии, Алимет, Алим, Ариф, Асхаб, Бадрудин, Башир, Билал, Вагъаб, Вагъид, Гъабиб, Гъажи, Гъа ким, Гъанифа, Гъамза, Гъамидуллагъ, Гъарун, Гъасан, Давуд, Даниил, Жават, Жалал, Жамал, Жаруллагъ, Жафер, Забит, Замам, Заки, Зейдутагъ, Зейнал, Ибадуллагъ, Ибрагъим, Играм, Идаят, Идрис, Ильяс, Имам, Иса, Ислам, Исмаил, Камил, Керим, Къадир, Къазанфар, Къайиб. Къияс, Магъмуд, Мегъамед, Медик, Мурад, Мурсал, Муса, Наби, Насир, Салом, Салигъ, Сайд, Селим, Сулейман, Султан, Тажидин, Тагъир, Умар, Усман, Фетагъ, Холил, Хидир, Шабан, Шамил, Эмир, Эсед, Эфенди, Юнус, Юсуф, Якъуб, Ямуддин და სხვ.;

ქალის საკუთარი სახელი: Абидат, Айсат, Асият, Ашура, Гъава, Гъавизат, Гъუъруь, Жавгъарат, Жамият, Жарият, Зайнаб, Зибейда, Зуъгъре, Имара, Каминат, Леши, Мажмиат, Муслимат, Муъгъუъббат, Надият,

Нажабат, Нафисат, Нурият, Рабият, Рагытат, Салигъат, Секинат, Сефият, Умужат, Фаизат, Фатума, Хадижат, Шамсият, Якъут და სხვ.

სპარსული:

კაცის საკუთარი სახელები: Агъарза, Аллагъяр, Ализар, Бейбут, Гуълали, Гуълмет, Гъажимирзе, Гъезрет, Дербет, Зал, Залбег, Зугъраб, Ма-медшах, Мамирзе, Мерден, Мирзе, Мирзеабас, Мирзебег, Мирзегъасан, Мирзежан, Мирзекерим, Мирзекъади, Мирземет, Мирзехан, Мугъман, Навруз, Панагъ, Семендар, Сердер, Шавли, Шагъ, Шабас, Шагъвелед, Шаламаз, Шагъсен, Ширин, Ямуддин, Ярагъмед, Ярали, Ярмет, Яруддин და სხვ.;

ქალის საკუთარი სახელები: Айна, Дилбер, Дилифриз, Жагъан, Зарбаф, Ис-пагъан, Магъи, Майсарат, Майтаб, Мапери, Мегъри, Мегърибаи, Пакизат, Пенкер, Шагъру, Шагърузат, Шагърустай, Шагъселем, Шагъум, Шагъа, Шагънасиб, Шаисибани, Шапери, Ширинат, Ягъру და სხვ.

თურქული:

კაცის საკუთარი სახელები: Агъабала, Агъабег, Агъаверди, Атакиши, Байрам, Байрамбег, Балабег, Балакъардаш, Бегагъа, Бейбала, Бидирхап, Великан, Гъазерчи, Дадаш, Дашдемир, Дашти, Девлетхан, Делшр, Дурсун, Къазибег, Куругъли, Къара, Къарахан, Къафлан, Къехлер, Къилинж, Къирим, Лачин, Манкбули, Нурбала, Пирмет, Савзихан, Таймур, Тарлан, Татар, Улубег, Умахан, Уруж, Уста, Уъзден, Хан, Хенджал, Челеб, Чергес, Эмнрбег, Эмиржан, Эфенди, Юзбег, Юлдаги, Яхши და სხვ.;

ქალის საკუთარი სახელები: Айбике, Анахалум, Ашкъиназ, Багъдасар, Бажикъиз, Балахалум, Бес, Бигистан, Бике, Биче, Терекмаз.-Гилебатум, Гуъзел, Гуъл, Гъулан, Гъуланагъа, Гъулангерек, Если, Къизбике, Къизлер, Къизпери, Къизтамум, Къизтер. Марал, Нинехалум, Тамал, Тамум, Уснижат, Халум, Ханагъа, Ханпиче, Хаслар, Шагънабат, Шапиче, Шуъшехалум,

Яхшихалум და სხვ.

ბოლო პერიოდში ლეზგიურ ანტროპონიმიაში ხშირად გხვდება რუსიზმები, ამასთან, ჭარბობს კნინობით-მოფერებითი ფრმები Юрик, Славик, Света და ა. შ. ტიპისა.

დასტურდება ძირეული საკუთარი სახელებიც: Яру (ზედმიწ. „წითელი“), Чулав (ზედმიწ. „შავი“), Цуьквер (ზედმიწ. „ყვავილები“), Шини (ზედმიწ. „ბალი“), Цийиварз (ზედმიწ. „ახალი მთვარე“) და სხვ.

ძირეულ ლეზგიურ იდიონიმებად უნდა მივიჩნიოთ ისეთი საკუთარი სახელებიც, რომელთა ეტიმოლოგიაც დაუზუსტებელია, მაგ.: Жулера, Назафен, ЧакІан, Манахан, Мергем, Махай, Бянзер, Мезбура და სხვ.

სტრუქტურის მიხედვით ანტროპონიმები შემდეგ ჯგუფებად იყოფა:

ა) მარტივი არანაწარმოები ანტროპონიმები, რომლებიც ოდენ ერთი ფუძისა ან ძირისაგან შედგებიან: Азиз, Али, Агъа, Бах, Бес, Гъава, Игит, Неби, Некъи, Муса, Шини, Цуьк და სხვ.;

ბ) მარტივი ნაწარმოები ანტროპონიმები, რომლებიც ფუძის/ძირის გარდა სულ მცირე კიდევ ერთ მორფემას შეიცავენ: Некъият (შდრ. некъи-), Жавидин (შდრ. жавид-), Мира (შდრ. мир-), Аният (შდრ. ани-), Павлик (შდრ. павл-), Хаслар (შდრ. хас-), Пакизат (შდრ. паки-), Нисредин (შდრ. нисред-), Адиля (შდრ. адил-), Жамиля (შდრ. жами-), Лезгина (შდრ. лезги-) და სხვ.;

გ) რთული ანტროპონიმები, რომლებიც ორი ფუძისაგან არიან შემდგარნი: Алинисед (али- + -несед); Бажикъиз (бажи- + -къиз); Дашдемир (даш- + -демир), Велибег (вели- + -бег); Мирзеагъмед (мирзе- + -აгъмед), Султангъмид (султан- + -гъмид); Гуьлебатун (Гуьле- + -батун); Бубахва (буба- + -хва); Дидекъиз (диде- + -къиз); Къизхалум (къиз- + -халум); Щарухва (щару- + -хва); Шихрагъмим (ших- + -рагъмим); Шагъселем (шагъ- + -селем),

Шагъимердан (шагъи- + - мердан) და სხვ.;

დ) შედგენილი ანტროპონიმები, რომლებიც ორი ან მეტი სიტყვისაგან შედგება: Мирзе Гъасан, Юсуф Хан, Гъажи Эфенди, Гъажи Рамазан, Соли Сулейман, Абдурагъман бег, Шагъ Исмаил და სხვ.

ლეზგიურ ანტროპონიმიაში ფართოდაა გავრცელებული ზედმეტსახელები და საკუთარი სახელების კნინობით-მოფერებითი ფორმები. თანამედროვე ლეზგიური გვარები და მამისსახელები რუსულ მოდელს ეფუძნება. აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნემდე ლეზგიებს, სხვა ნახურ-დაღესტნურ ეთნოსთა მსგავსად, თანამედროვე გაგებით გვარის ცნება არ ჰქონდათ. XIX საუკუნეში ევროპული და რუსული კულტურის გავლენით ლეზგთა შორის იწყება რუსულდაბოლოებიანი (-ов, -ова, -ев, -ева) გვარების მიღების პროცესი. ამ პროცესმა XX საუკუნეში გასაბჭოების შემდეგ მიიღო საყოველთაო ხასიათი.

ამჟამად, აზერბაიჯანში მცხოვრებ ლეზგთა შორის გავრცელებულია რუსუფიცირებული გვარების შეცვლის ტენდენცია. გვარების რუსული დაბოლოებები იცვლება -лы ან -ли ბოლოსართებზე (მაგ., Раджабов(а) > Раджабли) ან სულაც იკვეცება (Ахмедов(а) > Ахмед). ბოლო პერიოდში საგრძნობია რუსული დაბოლოებების შეცვლის პრაქტიკა ლეზგიური -рин -ви (მაგ., Абубакарин/Абубакрви Абубакаров-ის ნაცვლად). XIX საუკუნემდე ლეზგიები გვარის ნაცვლად იყენებდნენ საგვარეულოს (სიხალ) აღმნიშვნელ სახელწოდებად, თან იგი ყოველთვის იყო წინ (მაგ., Ярагъ Шейх-Мухаммад, Штул Хаджи-Мухаммад, Лгар Шейх-Абдулхамид, ЯлцIугъ Мухаммад-Амин, КIири Буба და სხვ.).

საყურადღებოა, რომ ლეზგიურ ტოპონიმულაში (როგორც წესი, მიკროტოპონიმულაში) დასტურდება საკუთარი სახელები. ზოგიერთი მათგანი, დღეს უკვე არ იხმარება:

კაცის საკუთარი სახელები: 1. ПиритI, 2. Савзи, 3. Хайда, 4. Варз, 5. Темез, 6. Баш, 7. Таз, 8. Палдер, 9. Хилев, 10. Брем, 11. Гуьрг, 12. Гьут, 13. Пакьа, 14. Рехец, 15. Татахь, 16. МимитI, 17. Хьалп, 18. Чингир, 19. БутI, 20. Къирим, 21. Пана, 22. Песе, 23. ХьецI, 24. СутI, 25. Чантар, 26. ШапI, 27. ШеметI, 28. Шар, 29. Шувул, 30. Бурак, 31. Арваз, 32. Бубур, 33. КъаучI, 34. Мази, 35. МукIуцI, 36. Нару, 37. ЭцIек, 38. Къигъ, 39. Шихим, 40. Бегем, 41. Ишим, 42. Касан, 43. Берек, 44. Димбал, 45. Экел, 46. Белген, 47. Гьутан, 48. Шихи, 49. Тимир, 50. Йурур, 51. АтI, 52. Жавла, 53. Кере, 54. ЦIили, 55. ШапIан, 56. Андуг, 57. БатI, 58. Зияф, 59. Курум, 60. Банда, 61. ПIатIа, 62. Бандам, 63. Незуьгъ, 64. Хебиц, 65. Цац, 66. ЦIувцIув, 67. Гьуьш, 68. Цацамур, 69. ШетIиш, 70. Будахь, 71. Липти, 72. Кас, 73. Биш, 74. ГацI, 75. Кеми, 76. ПацI, 77. ШикIи, 78. Къурам, 79. Мевли, 80. Гьверши, 81. Къами, 82. Мушагъ, 83. Къача, 84. ТIатIи, 85. Цими, 86. Шеру, 87. Армалд, 88. Арна, 89. Чумур, 90. Шивир, 91. Магъан, 92. Темез, 93. Биреш, 94. Матик, 95. Афаш, 96. Будах, 97. Будур, 98. Къудур, 99. Бургъун, 100. Гех, 101. Пабил, 102. Карба, 103. Кентал, 104. КъаркъачI, 105. Сакъ, 106. Хъамаш, 107. ХьинцI, 108. ЦIакъ, 109. ЧетI, 110. Шиди, 111. Тамал, 112. Къацак, 113. Чуьнгуьл, 114. Апу, 115. Асткакъ, 116. Балдур, 117. Зардар, 118. Макъал, 119. Инег, 120. Рзан, 121. Хъалаш, 122. Хупур, 123. Багъ, 124. Вурк, 125. Хурдал, 126. Лай, 127. Базай, 128. Къевкъев, 129. ДуцI, 130. Мад, 131. Мудух, 132. Кезин, 133. Пазиз, 134. Шиш, 135. Саад, 136. Къуьруь, 137. Пахта, 138. Талтам, 139. Палиц, 140. Сирхав, 141. Базан, 142. МурачI, 143. Бутай, 144. Закъи, 145. Уругъ, 146. Мейлан, 147. МитIрал, 148. Шттих, 149. Хъарба, 150. Ярал, 151. ТIипIтис, 152. Алуп, 153. Тум, 154. Аран, 155. Арал, 156. Бакур, 157. Виру, 158. Ваче, 159. Пасай, 160. Вачагъан, 161. Фарас, 162. Фарасман, 163. Сур, 164. Верхел, 165. Ба, 166. Сайтар, 167. Иррис, 168. Зубер, 169. Абас, 170. Жуваншир, 171. Мегърижан, 172. Сунбат,

173. Илиф, 174. Ціми, 175. Аштик, 176. КакІас, 177. Патица, 178. Вачи, 179. Арахи, 180. Шири, 181. Къелав, 182. СатІу, 183. Фарим, 184. Асай, 185. Сабас, 186. УпІас, 187. Авиз, 188. Варазман, 189. Къекъел, 190. Уриз, 191. Вирагъ, 192. Зирагъ, 193. Шаргир, 194. Шабур, 195. Варде, 196. Асал, 197. ВикІегъ, 198. Вараз, 199. Урнир, 200. Мергаван, 201. Гъарун, 202. Хиба, 203. БадчІан, 204. Ханац, 205. Гъамац, 206. Арчи, 207. Щармак, 208. ЦирцІам, 209. Успат, 210. Серкер, 211. Хвавили, 212. ТІишба, 213. Бубахва, 214. Шарбус, 215. Нажар, 216. Мадар, 217. Адар, 218. Рими, 219. ТІарлац, 220. Суьбе, 221. Бугада, 222. Самсам, 223. Салсал, 224. Гарал, 225. Касбуба, 226. ТермецІ, 227. Неркъал, 228. Гъемер, 229. Вили, 230. Гир, 231. ЦІару, 232. Бал, 233. Ибил, 234. Базу, 235. Тарта, 236. Атар, 237. Инбул, 238. Мингеч, 239. Тагу, 240. Гирдим, 241. ТІур, 242. Музу, 243. Алам, 244. ЧІар, 245. Сарлаг, 246. Тирикан, 247. Чуру, 248. Инар, 249. Ярлагъан, 250. Паку, 251. ЦІвелер, 252. Пабу, 253. Рафи, 254. АратІ, 255. Хенжел, 256. Манчар, 257. Каркас, 258. Къеме, 259. Багав, 260. Ччумал, 261. Бачар, 262. Санай, 263. Шери, 264. Чубач, 265. Тамазан, 266. Кевил, 267. Кабач, 268. Гав, 269. Пашур, 270. Мука, 271. Бакри, 272. ТумучІ, 273. Ших, 274. Ганза, 275. Шавли, 276. Амин, 277. Эмин, 278. Рифи, 279. Батман, 280. Аруц, 281. Шабат, 282. Талхан, 283. ХІамим, 284. Малаб, 285. Къафлан, 286. Гага, 287. Эдей, 288. Манаф, 289. Бабай, 290. Ярахъ, 291. ФетІи, 292. Ччамар, 293. Гъезер, 294. Нервик, 295. Жамакъ, 296. Тирик, 297. Мурз, 298. Буба, 299. Беф, 300. Маха, 301. Зияд, 302. Пазим, 303. Сираж, 304. Базу, 305. Асул, 306. Мезде, 307. СагІде, 308. Асниф, 309. Партат, 310. Финяд, 311. МуьхІуь, 312. Муспах, 313. Манаш, 314. Чурай, 315. Финяз, 316. Халсу, 317. Лацаб, 318. Ишпак (Спик);

ქალის საკუთარი სახელები: 1. Лацар, 2. Вилер, 3. Къацар, 4. Таза, 5. Фахра, 6. Явда, 7. Сун, 8. Аже, 9. Бали, 10. Алаш, 11. Бизи, 12. Суьр, 13. Хари,

14. Шагъна, Веулер, 16. Бисед, 17. АчІан, 18. Арчан, 19. Чейде, 20. Шан, 21. Зарбаф, 22. Марвар, 23. Зиза, 24. МуркуцІ, 26. Михьи, 26. Бану, 27. Гъулан, 28. Зияр, 29. къи, 30. Фене, 31. Зинგი, 32. Суъсуъ, 33. Бих, 34. Тевит, 35. Къистер, 36. Пике, 37. ЦІарай, 38. Эрге, 39. Ярар, 40. Хъуътуъл, 41. Муга, 42. Гъамуга, 43. ВерцІи, 44. Тават, 45. Аяр, 46. Иер, 47. Сейли, 48. Спраам, 49. Цуъквер, 50. Дидеруш, 51. Баде, 52. Пейкер, 53. Сацуък, 54. Яранцуък, 55. Тайгъун, 56. Исли, Масан, 58. Масанцуък, 59. Магъи, 60. Ваханруш, 61. Дидевах, 62. Хиде, 63. Чирагъ, 64. Сувар, 65. Мен, 66. Серес, 67. Некъи, 68. ПагІли, 69. Майтаб, 70. Зари, 71. Элфи, 72. Ичер, 73. Милей, 74. ЦІвелер, 75. Луму, 76. Цавар, 77. Гъваяж, 78. Яргъируш, 79. Тегъмез, 80. Гъетер, 81. Эрки, 82. Саяд, 83. Салат, 84. Цири, 85. Мукаш, 86. Кару, 87. Лифер, 88. Туракъ, 89. ТІаратІ, 90. ЦІилихъ, 91. Сусан, 92. Эрзи, 93. Фая, 94. Тевси, 95. ХІуъруъ, 96. Шейри, 97. Гатфар, 98. ЦарцІар, 99. Навар, 100. Буфта, 101. Тугъу, 102. Зуъруъ, 103. Сали, 104. Сари, 5. Эквер, 106. Пичче, 107. Санжа, 108. ВерцІи, 109. Писе, 110. Ини, 111. Мари, Менси, 113. Къаях, 114. Серфи, 115. Афи, 116. Парам.

ეთონნიმები:

ლეზგთა აღმნიშვნელ ეთონნიმებში რაიმე სპეციალური აფიქსი არ არის დადასტურებული. ლეზგიების თვითსახელწოდება **ლეზგი**, რომლის ეტიმოლოგია ნათელი არ არის.

ლეზგთა ეთნიკური ორგანიზაცია, რომელიც დღესაც გარკვეულწილად აქტუალურია, შედგებოდა ჯამაათებისაგან (თავისუფალ საზოგადოებათა კავშირი, ლეზგ. **ჯამაъат**), რომლებიც, თავის მხრივ, თავისუფალ საზოგადოებათაგან, ანუ სოფლის ჯამაათებისაგან შედგებოდა (ლეზგ. **хуър** „სოფელი“). ჯამაათს ხელმძღვანელობდა იმამი, ხოლო სოფლის ჯამაათს – უხუცესი (**чІехибур**). სოფლის ჯამაათი სიხილთაგან (ლეზგ. **цІи**

хел „სისხლის საგვარეულო“ ან **сихил** < **са хил** „ერთი ხელი“) შედგებოდა, რომლის შიგნითაც, როგორც წესი, ხდებოდა ერთმანეთზე დაქორწინება. სიხილი, თავის მხრივ, იყოფოდა კამებად (ტერიტორიული ორგანიზაცია, ქუჩა ან კვარტალი, ლეზგ. **ккам**) და მირესებად (ლეზგ. **мирес**), რომელიც ახლო ნათესავებს აერთიანებდა (ზოგჯერ ერთი სიხილი 50-60 მირესისაგან შედგებოდა). ეთნიკური ორგანიზაციის ყველაზე მცირე დანაყოფი იყო ხიზანი, ანუ ოჯახი (ლეზგ. **хизан**, **хзан**).

გამოსარჩევია სამი დიდი ჯამაათი: ახტის ან ახტიფარის (ლეზგ. **Ахцагъ**), ყუსარის (ლეზგ. **КцIар**), კიურესა (ლეზგ. **Куьре**) და რამდენიმე შედარებით მცირე – დოყუზფარის (ლეზგ. **Дукъузпара**), ალთიფარის (ლეზგ. **Алтыпара**), ყურაჰისა (ლეზგ. **Курагъ-дере**) და მისქინჯის (ლეზგ. **Мискич**, **Мискичкар**, **Мискинджа**). უნდა აღინიშნოს, რომ დროდადრო ლეზგებით დასახლებულ ტერიტორიაზე ფეოდალური ერთეულებიც ჩნდებოდა.

ჯამაათების სისტემა დღეს ასეთი სახით არ არის წარმოდგენილი, თუმცა ნარჩუნდება ლეზგიების დაყოფა სამ დიდ ეთნოგრაფიულ ჯგუფად: კიურელებად (თვითსახელწ. **Куьрегуьяр**), ახტელებად (**Эхцегъяр**) და ყუსარელებად (**КцIарвияр**). ასეთი დაყოფა ლეზგიური ენის დიალექტურ ჯგუფებს ემთხვევა.

ახტის ჯამაათში შედიოდა შემდეგი სოფლის ჯამაათები: **ахцагъяр**, **чIуьтхуьрвияр**, **фийвияр**, **кьурушар**, **чепервияр**, **филисхъяр**; კიურეს ჯამაათში: **куьрегуьяр**, **яркар**, **кьурагъвияр**, **гелхенар**, **гилияр**. ყუსარის ჯამაათი ერთი ერთეულისაგან შედგებოდა – **кцIарвияр**, თუმცა ტერიტორიულად დღევანდელ ყუსარის რაიონსა და ყუბისა და ხაჩმასის რაონების ჩრდილოეთს მოიცავდა (აზერბაიჯანი).

სიხილის აღმნიშვნელი სახელები, რომლებიც, როგორც წესი, სოფლის

უბნების (მაგვალ) სახელწოდებებს ეძიებთ:

Барбияр, Хъемешар, Хъиравар (სოფ. აგვა-სტალარ), Кабачар, КІунтІалар (სოფ. აგვა-Хъартасар), ГъанцІияр, Урузар, Пепеяр (სოფ. აგვა-ЦинитІ), БукІуяр, МачІагъარ (სოფ. Алкъвадар), Акъар, Къулияр, Ппуълттუъяр, Уъшеханар, Хъвасккар (სოფ. Ахццагъარ), Базанар, Балияр (სოფ. Гачалхуър), Вартар, Мурацулар (სოფ. Гилияр), Къамбацар, Пилтияр, СикІеяр, Йуркъулияр (სოფ. Гъетягъ), Бдахар, Ипирар (სოფ. ДаркІуш), ГъапІашар, Къевер, Масакъარ, Ругъвацар (სოფ. Шимихуър), Гергияр, Кешар, ЦІурар (სოფ. Ялахъ), ЦІахуяр, Гъургъурар, ДадакІანარ (სოფ. Ичинარ), Бункъარ, Хашалარ, Чукваяр (სოფ. Кашанхуър), Квашар, КІამчІахар, Чашар, Ярудбур (სოფ. Кукваз), Бирякъარ, Дугъუნარ, Фудурар, ЦІалханარ (სოფ. Курхуър), Мадаგъარ (სოფ. Тигъир), Кисранარ, Цегъრე კІуртар, Текъияр (სოფ. Хуълუъхъ), Къикъერ, Манчარარ (სოფ. Къураგъ), ГъуруцІარ, КъуруцІარ, Шарузар (სოფ. КІахццугъ), Шапанар, КІулацар, Шузарარ, Тархар, Хъамашარ (სოფ. КІирияр), Багъარ, ВакІацар, Къирикъარ, ЦІаракар (სოფ. КІутІлар), Ахкუნარ, Гъуялар, Капндаяр, Пахтаяр (სოფ. Мацარ), Гъალავანარ, Каркасар, Хъемешარ, ШантІურარ (სოფ. Сиидარ), Бафар, Мегъერ, Хшар (სოფ. Ухул), Бачარარ, Бикерარ, Варданარ, Сандакъარ, Фиткъияр, Ярубур (სოფ. Хуърел), Тарашარ (სოფ. Цмур), ГетІეяр, Душкъуяр, Сейлияр, Тебинар (სოფ. Чахчах), Бамбияр, Михар, ПатІалარ (სოფ. Фияр) ღა ა. მ.

ლეზგიური ენა

(გრამატიკული ნარკვევი)

მოკლე ცნობები ლეზგიური ენისა და ლეზგიების შესახებ

ლეზგიურ ენაზე მოლაპარაკეთა რაოდენობა სულ მცირე 650 ათასს კაცს შეადგენს. 2010 წლის აღწერის მონაცემებით რუსეთის ფედერაციაში 473 722 ლეზგი აღირიცხა (მათ შორის – 385 240 დაღესტანში), ხოლო აზერბაიჯანში 180 ათასი (2009 წლის აღწერის მონაცემებით, თუმცა ზოგიერთი სხვა არაოფიციალური წყაროს მიხედვით ლეზგიების რაოდენობა აზერბაიჯანში 350 ათასს კაცსაც კი აღწევს). ლეზგიური ენა გავრცელებულია დაღესტნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში – ყასუმქენტის, მაჰარამქენტის, ყურადისა, სულეიმან-სტალისა და ნაწილობრივ ხივის, დერბენტისა და რუთულის რაიონებში, აგრეთვე ჩრდილო-აღმოსავლეთ აზერბაიჯანში – ძირითადად, ყუსარის, ნაწილობრივ კი – ყუბისა, ხაჩმასის, ისმაილის, გაბალისა და ოლუხის რაიონებში. ლეზგიურ ენაში სამი დიალექტური ჯგუფი გამოიყოფა – კიურული, სამურული და ყუბის, რომლებიც, თავის მხრივ, სხვადასხვა დიალექტებისაგან შედგება. ლიტერატურული ლეზგიური ენა კიურულ დიალექტურ ჯგუფში შემავალ გიუნეურ დიალექტს ეფუძნება.

ლეზგიური ენა დაღესტნის ერთ-ერთი სახელმწიფო ენაა, მასზე მიმდინარეობს სწავლება დაწყებით სკოლაში (შემდეგ მხოლოდ ერთ-ერთ საგნად რჩება). ისწავლება უმაღლეს სკოლაშიც (დაღესტნის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დაღესტნის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი), დათმობილი აქვს დრო დაღესტნის ტელევიზიასა და რადიოში, ქვეყნდება როგორც ორიგინალური, ისე თარგმნითი ლიტერატურა. ლეზგიურ ენაზე გამოიცემა რამდენიმე გაზეთი; მათგან ყველაზე დიდი ტირაჟი დაღესტანში აქვს გაზეთს „Лезги газет“, ხოლო აზერბაიჯანში გაზეთს „Самур“.

ლეზგიური ანბანი

ლუზიკური ენის წერილობითი ფიქსაცია XVIII საუკუნის II ნახევრიდან იწყება. მოგვეპოვება არაბული გრაფიკით XVIII-XIX საუკუნეებში შესრულებული რამდენიმე პოეტური ტექსტი, ესენია - საიდ ყუჩხურელის (1767-1812 წწ.), ეთიმ ემინის (1838-1889 წწ.) და სხვათა ნაწარმოებები. არაბული გრაფიკა (ე. წ. აჯამი) ლუზიკურისთვის XX საუკუნის 20-იან წლებამდე გამოიყენებოდა.

ლუზიკური დამწერლობა 1928 წელს შეიქმნა ლათინური გრაფიკის საფუძველზე. თუმცა მანამდეც იყო ორი ცდა არაბული გრაფიკის საფუძველზე ნორმირებული ანბანის შექმნისა. ორივე დაღესტნის გასაბჭოების შემდეგ განხორციელდა. პირველი ცდა ეკუთვნის აბუ-ჯაფარ მამედოვს (მასწავლებელი ყასუმქენთიდან), ხოლო მეორე - ჰ. გაჯიბეკოვს. მეორე ანბანით რამდენიმე წიგნიც დაიბეჭდა, მათ შორის - გამოცემა „ლუზიკურ პოეტთა სიმღერები“. აღსანიშნავია, აგრეთვე, უსლარის მიერ ლუზიკური ენისთვის შექმნილი ტრანსკრიფციის პრაქტიკული გამოყენების რამდენიმე მაგალითი. სწორეს ეს ტრანსკრიფცია დაედო საფუძვლად პირველ ლუზიკურ ნაბეჭდ წიგნს „კიურული ანბანი“, რომლის ავტორი იყო უსლარის თანამემწე ყაზანფარ ზულფიკაროვი. იგივე სატრანსკრიფციო სისტემა გამოყენებულია გამოცემაში „ყურანში ნახსენები რვა მოციქულის ისტორია“ და აბუ-ჯაფარ მამედოვის მიერ შედგენილ და თბილისში 1911 წელს გამოქვეყნებულ საანბანო წიგნში.

დღეს მოქმედი ანბანური სისტემა სლავურ გრაფიკას (კირილიცას) ემყარება და შემოღებულია 1938 წელს. იგი 46 ასო-ბგერას შეიცავს. ლუზიკურ ენაში არსებული სპეციფიკური ბგერების გამოსახატავად გამოიყენება სამი დამატებითი განმასხვავებელი ნიშანი: **І, Ё, Ё**.

მოქმედ ლუზიკურ ანბანში შეტანილია რუსული ანბანის ის ასოებიც (**О, Ы, ІІ, Ё, Ё, Ю, Я**), რომელთა შესატყვისი ბგერებიც ამ ენაში არ მოიპოვება.

მოგვყავს მოქმედი ლუზიკური ანბანი სათანადო ასოთა მიღებული რიგითა და მათი ქართული ეკვივალენტებით:

ლეზგიურ ანბანში დაცულია რუსული ანბანის ასოთა რიგი. სპეციფიკური ლეზგიური ასო-ნიშნები ანბანში ჩართულია იმ ასოების შემდეგ, რომლებიც ამგვარ ბგერათა გამოსახატავად გამოიყენება. როგორც უკვე აღინიშნა, მოქმედ ლეზგიურ ანბანში უცვლელად არის შეტანილი რუსული ანბანის ის ასოებიც (о, ы, ш, ь, ё, ю, я), რომლებიც ამ ენის ფონოლოგიურ სისტემაში არ მოიპოვება. სამაგიეროდ მოქმედ ანბანში არ აისახება პრერუპტივები (ან სხვაგვარი კვალიფიკაციით – ინტენსიურები): ც, ჩ, ფ, თ, ქ (მათ აღსანიშნავად გამოიყენება ორმაგი დაწერილობა: цц, чч, шш, тт, кк. ერთადერთი პრერუპტივი, რომელიც ასახულია ანბანში, არის კხ ჭ). გარდა ამისა, ანბანში თავისი საკუთარი ასო-ნიშანი არ მოეპოვებათ ა-ს, ძ-სა და ჯ-ს (ძ და ჯ ა და ჯ ნიშნებით გადმოიცემა, ხოლო ა – я ასო-ბერათი). ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ლეზგიურს მოეპოვება ლატერალური თანხმოვნები, რომლებიც, აგრეთვე, არ არის ასახული ანბანში.

ლეზგიური ენის ფონეტიკური თავისებურებები ხმოვანთა დახასიათება

ლეზგიურ ენას ვოკალიზმის მარტივი სისტემა ახასიათებს. ლიტერატურულ ლეზგიურში სულ ხუთი ხმოვანი ფონემაა: а (ა), е/э (ე), и (ი), у (უ), уь (უ̣). ამას გარდა, ლეზგიურში ხშირად გვხვდება წინა რიგის аь (ა̣) ბგერა (ეს ბგერა ლეზგიურ ანბანში я ნიშნით გადმოიცემა, რომელიც აგრეთვე аа დიფთონგს აღნიშნავს), რომელიც ძირითადად ფარინგალიზებული ან პალატალიზებული თანხმოვნების შემდეგ დასტურდება. ლეზგიური ენის ფონოლოგიურ სისტემას ასევე მოეპოვება ორი გრძელი ხმოვანი а: და аь: (ა̄, ა̣), რომელიც ზოგჯერ არც პოზიციურად შეპირობებული ჩანს და არც რაიმე კომბინატორული ფონეტიკური პროცესების შედეგად უნდა იყოს წარმოქმნილი (მაგ., თანხმოვანთა რედუქციის შედეგად ან სხვა).

о (ო) და ы (ე) ბგერები ლიტერატურულ ლეზგიურში ფონემის სტატუსით არ არიან აღჭურვილნი – ეს ბგერები მხოლოდ რუსულიდან ნასესხებ ან რუსულის მეშვეობით სიტყვებში დასტურდება, თუმცა ცოცხალ მეტყველებასა და დიალექტებში о-ს ხშირად у ცვლის (ზოგჯერ – სხვა ხმოვანიც), ხოლო ы-ს – и, მაგ., ремонт (ორთ. ремонт – რუსულიდან ნასესხები სიტყვების დაწერილობა ლეზგიურში ისეთივეა, როგორც

რუსულში) // **римунт** „რემონტი“; **духтур** „დოქტორი“, „ექიმი“; **трактур** „ტრაქტორი“; **гиле** „კილოგრამი“ (< **кило**); **верховни** „უმაღლესი“...

აწეულობა	წინა რიგის		უკანა რიგის	
	არალაბიალიზებ.	ლაბიალიზებული	არალაბიალიზებ.	ლაბიალიზებული
მაღალი	и	уь	(ы)	у
საშუალო	е		а	(о)
დაბალი	(аь)(аь:)		(а) (а:)	

შენიშვნა: ფრჩხილებში ჩასმულია ფონეტიკური ღირებულების არმქონე ან დიალექტებში დადასტურებული ბგერები.

a – ქართულისა და ზოგიერთი სხვა ენათაგან განსხვავებით, რომლებშიც **a** ბგერა შუა რიგისა და დაბალი აწეულობის ხმოვანია, ლეზგიურში **a**, როგორც წესი, რეალიზებულია როგორც უკანა რიგისა და საშუალო აწეულობის ბგერა (**ʌ**). ეს განსხვავება უფრო საგრძნობი ხდება CVC სტრუქტურის ერთმარცვლიან სიტყვებში, მაგ., **цал** [цʌლ] „კედელი“, **сал** [сʌლ] „ბოსტანი“, **чал** [чʌლ] „ენა“, „მეტყველება“, **раб** [рʌბ] „ნემსი“...

ლეზგიური ენაში უკანა რიგისა და დაბალი აწეულობის **a** ბგერაც დასტურდება. ეს ბგერა უფრო დამახასიათებელია დახურული მაცვლვალისათვის უვულარულ თანხმოვანთა და /p/ წინ. ყველაზე ხშირად ყურახის დიალექტში გვხვდება და იწვევს წინამავალი ან მომდევნო უვულარული თანხმოვნების ფარინგალიზაციას, მაგ.: **Халид** [халид] (საკ. სახელი); **гъал** [гъʌლ] „ძაფი“; **балкIаа** [бʌლкIʌ:] „ცხენი“...

ლაბიალიზებული თანხმოვნების შემდეგ **a** აკუსტიკურად **o** ბგერას უახლოვდება (**ɔ**), მაგ., **кIвал** [кIвʌლ] „სახლი“, „ოთახი“, **хвал** [хвʌლ] „რუ“, **къван** [къвʌн] „ქვა“, **тIвал** [тIвʌლ] „ჯობი“...

y – უკანა რიგის, მაღალი აწეულობის ხმოვანია. მისი წარმოთქმა ქართული უ-ს მსგავსია. **y** ბგერა ლეზგიურში ყველანაირ პოზიციაში გვხვდება, მაგ., **уртах** „საერთო“, **улам** „ფონი“, **зул** „შემოდგომა“, **чIул** „ქამარი“, **къалу** „მღვრიე“...

я [აბ] – დაბალი აწეულობისა და წინა რიგის ხმოვანი, რომელიც პ. უსლართან **æ** ლიგატურითაა აღნიშნული. ეს ხმოვანი თითქმის ყველა ლეზგიურ დიალექტსა და კილოკავში დასტურდება, თუმცა მისი აკუსტიკური თვისებები განსხვავდება. კიურულ დიალექტებში და, განსაკუთრებით, იარკიულ კილოში, ეს ხმოვანი გამოირჩევა ფარინგალიზებულობით. სამურულ დიალექტებში იგი არაფარინგალიზებულია, ხოლო ყუბის დიალექტებში – ორივე ვარიანტი დასტურდება. ამას გარდა, იარკიულ დიალექტში დასტურდება (ეს ბგერა არ არის დამახასიათებელი მთლიანად იარკიული დიალექტისათვის, არამედ მხოლოდ ზოგიერთ დასახლებულ პუნქტში დასტურდება) დაბალი აწეულობისა და წინა რიგის პალატალიზებული ხმოვანი, რომელიც, **აბ (æ)** ბგერასთან შედარებით, უფრო უკან იწარმოება და ლიბიალიზებულობით გამოირჩევა (**აე**). ეს ბგერა პოზიციურად შეპირობებულია – იგი, როგორც წესი, შერბილებული **ლ** თანხმონის წინ გვხვდება, მაგ.: **пял [пәл]** „შუბლი“...

э/ე – წინა რიგის, სუშუალო აწეულობის ბგერაა. მისი არტიკულაცია თითქმის ისეთივეა, როგორც ქართული ე-სი. **э/ე** ბგერა ლეზგიურში პოზიციურად არ არის შეზღუდული, მაგ., **эке** „დიდი“, **эгер** „თუ“, **кьел** „მარილი“, **цѣл** „თხა“, **рехь** „გზა“, **келле** „თავის ქალა“, **гуьлле** „ტყვია“...

и – წინა რიგის, მაღალი აწეულობის ხმოვანია. მისი ჟღერადობა ქართული ი-ს ჟღერადობისაგან თითქმის არ განსხვავდება. **и** ბგერა ლეზგიურში შეიძლება ყველანაირ პოზიციაში შეგვხვდეს, მაგ., **иви** „სისხლი“, **ირი** „მსხვილი“, **инсан** „ადამიანი“, **кьиб** „ბაყაყი“, **цѣвин** „ნახშირი“, **чими** „თბილი“, **кѣви** „მყარი“... უმახვილი პოზიციაში ხშირია **и**-ს რედუქცია, მაგ., **к(и)таб** „წიგნი“, **хь(и)сан** „კარგი“...

уь – უკანა რიგის, მაღალი აწეულობის ხმოვანია. ენის მდგომარეობის მიხედვით ეს ბგერა **и**-ს უახლოვდება, თუმცა მისგან განსხვავებით, ლაბიალიზებულია. **уь** ბგერა ლეზგიურში ყველანაირ პოზიციაში გვხვდება, მაგ., **уьгьуь** „ხველა“, **шутьруь** „ყავისფერი“, **куьлуь** „წვრილი“, **цѣурнуьгь** „გოჭი“...

ამას გარდა, ლეზგიური ენის დიალექტებში სხვა ხმოვნებიც დასტურდება:


а: – უკანა რიგისა და დაბალი აწეულობის ხმოვანი, რომელიც ლიტერატურულ ლეზგიურსა და დიალექტებში, როგორც წესი, პოზიციურად შეპირობებული ჩანს. იარკიულ დიალექტში აქვს ფონემური ღირებულება.

აბ: – დაბალი აწეულობისა და წინა რიგის გრძელი ხმოვანი, რომელსაც იარკიულ დიალექტში დისტინქციური ფუნქცია მოეპოვება.

ყ – შუა რიგის მაღალი აწეულობის ხმოვანია, ე. წ. ირაციონალური. ძირითადად, სამურული დიალექტებისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა შედარებით იშვიათად ის ყუბის დიალექტებშიც დასტურდება. კიურულში ეს ბგერა მხოლოდ ყურახის დიალექტსა და გილიარის კილოკავში გვხვდება.

ო – როგორც აღინიშნა, **ო** ბგერა ლეზგიურში მხოლოდ ნასესხებ სიტყვებში გვხვდება, თუმცა გილიარის კილოკავში იგი საკუთარ ლექსიკაშიც დასტურდება. ჩვეულებრივი **ო**-საგან განსხვავებით გილიარის კილოკავში დადსტურებული **ო** უფრო მაღალი აწეულობის ბგერაა (**უ**). ეს ბგერა არ უნდა იყოს წარმოქმნილი ლაბიალიზაციის შედეგად, იგი ისეთ სიტყვებში დასტურდება, რომლებშიც ლაბიალიზაციის კვალი არ ჩანს, მაგ.: **сумог** [сумог] (ხალიჩის სახეობა); **соимат** [сʰимат] (ქალის საკ. სახელი); **огъзур** [огъзур] „ათასი“... **ო** ბგერა რამდენიმე სიტყვაში ყუბის დიალექტებშიც დასტურდება, თუმცა იქ ის ლაბიალიზაციის შედეგად უნდა იყოს წარმოქმნილი, მაგ.: **ногъ** „ცრემლი“; **нокъ** (// **нукъ**) „ნიადაგი“; **цол** „ნაწნავი“. ამას გარდა, ქიმილის კილოკავში სულ რამდენიმე სიტყვაში **об** ბგერას იმოწმებს შ. საადიევი. ის **ა/ე** ბგერისაგან არის მიღებული წინამავალი ლაბიალიზებული თანხმოვნის დელაბიალიზაციის შედეგად, მაგ.: **хьобьхь** „ლოყა“ (< ლიტ. ლეზგ. **хьвехь**); **зоьрын** „სირბილი“ (< ლიტ. ლეზგ. **зверун**).

სქემატურად ლეზგიური ენის ვოკალიზმი შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:



ამას გარდა, თითოეულ ბგერას შეიძლება ჰქონდეს ნაზალიზებული და გრძელი ალოფონები.

მახვილი და მისი ადგილი

მახვილი ლეზგიურში ძლიერია ანუ დინამიკური (ინტენსიური, ექსპირატორული). მახვილი ორ და მეტმარცვლიან სიტყვაფორმებში უპირატესად დაისმის მეორე მარცვალზე. მახვილი პირველ მარცვალს მოუდის, თუ:

სიტყვაფორმა ერთმარცვლიანია;

ერთმარცვლიან სიტყვას დაერთვის შემდეგი აფიქსები: **-დი, -და, -ბურ, -ნა, -რა, -ა, -ნი, -ლა, -ლახъ, -ლახъდი, -лай, -тIа, -вал, хъун, -ун.**

რუსულიდან და ზოგჯერ სხვა ენებიდან (არაბული, სპარსული, თურქული და სხვ.) ნასესხებ ლექსიკაში მახვილი იმ ადგილს იკავებს, როგორც გამსესხებელ ენაში.

მახვილს ლეზგიურში შეიძლება ჰქონდეს სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქცია, მაგ., **къалун** „ჩვენება“ – **къълун** „ხმაურის ატეხვა“; **къвалар** „გვერდები“ – **къвалар** „წვიმები“...

თანხმოვანთა დახასიათება

	ხშულ- მსკდომები				აფრიკატები			სპირანტ.		სონორ.
ბაგისმიერი	б	п	пп	пI				(в)	ф	м в
კბილისმიერი	д	т	тт	тI						н л
ლაბიალიზებული		тв	ттв	тIв						
წინანუნისმიერი					ц	цц	цI	з	с	
ლაბიალიზებული						ццв	цIв	зв	св	
უკანანუნისმიერი					ч	чч	чI	ж	ш	р
ლაბიალიზებული							чIв			
შუაენისმიერი										й
წინასასისმიერი	г	к	кк	кI					хъ	
ლაბიალიზებული	гв	кв	ккв	кIв						
უკანასასისმიერი					хъ	къ	къ	гъ	х	
ლაბიალიზებული					хъв	къв	къв	гъв	хв	
ხორხისმიერი				ъ				гъ		

ლეზგიურ ენაში ხშულ-მსკომები წარმოდგენილი არიან ოთხეულგვარიანი სიტემებით, რომლებსაც შეადგენენ მჟღერი და სამი ყრუ თანხმოვანი (ფშვინვიერი, არაფშვინვიერი (პრერუპტივი) და აბრუპტივი), აფრიკატებში გვაქვს სამეულგვარიანი სისტემები (არ გვაქვს მჟღერი ფონემები), ხოლო სპირანტებში გვაქვს წყვილგვარიანი

სისტემები, რომლებიც მჟღერი და ყრუ თანხმოვნების დაპირისპირებას ეფუძნება.

თანხმოვნების ჟღერადობა ლეზგიურ ენაში არსებითად ისეთივეა, რაც ქართულში. გვაქვს რამდენიმე ფონემა, რომელიც ქართულ ენაში არ დასტურდება, ესენია: კბილბაგისმიერი სპირანტი **ფ** (ფ), წინასასისმიერი სპირანტი **ხ** (ხ), უკანასასისმიერი აფრიკატები **ხფ** (ჟ) და **კფ** (ჭ), ხორხისმიერი ხშული **ჟ** (ჟ), სონორი **ჩ** (ჩ) და **ვ** (ვ). თუმცა მთავარი განსხვავება ქართულ და ლეზგიურ თანხმოვანთა სისტემებს შორის ხშულ-მსკდომთა და აფრიკატთა ოთხეულგვარი სისტემები, რომლებსაც, როგორც უკვე აღინიშნა, სხვასთან ერთად პრერუპტივებიც შეადგენენ.

პრერუპტივები – ისეთი ბგერებია, რომლებსაც მინიმალური ფშვინვა ახასიათებთ, რაც განასხვავებს მათ ფშვინვიერთაგან. აკუსტიკურად ლეზგიური პრერუპტივები ინდოევროპულ ან ალთაურ ენათა ყრუ თანხმოვნებს უახლოვდებიან.

პრერუპტივები იშვიათი ბგერებია იბერიულ-კავკასიურ ენებში. ლეზგიურ ენაში შემდეგი ფონემებია დადასტურებული: **ჟჟ** (ჟჟ), **ტტ** (თთ), **კკ** (ქქ), **ცც** (ცც), **ჩჩ** (ჩჩ), **კფ** (ჭჭ); და მათი ლაბიალიზებული ვარიანტები: **ტტვ** (თთვ), **კკვ** (ქქვ), **ცცვ** (ცცვ), **კფვ** (ჭჭვ).

პრერუპტივები ლეზგიურ ენაში პოზიციურად შეზღუდულია – ისინი გვხვდება მხოლოდ ანლაუტსა (ძირითადად მახვილიანი ხმოვნების წინ, იშვიათად – უმახვილო ხმოვნების წინ) და ინლაუტში (ინტერვოკალურ პოზიციაში მახვილიანი ხმოვნის წინ). ზოგჯერ პრერუპტივებს შეუძლიათ შექმნან კომპლექსები **ც**, **ფ**, **ხ**, **ხფ**, **შ** სპირანტებთან ან სონორებთან.

ანლაუტში: **пуд** [ппуд] „სამი“, **катуң** [ккатуң] „რბენა“...

ინლაუტში: **гатуз** [гатуз] „ზაფხულში“, **ацун** [ацун] „წველა“...

სპირანტთან ან სონორთან: **сифте** [сифтте] „დასაწყისში“, **хкун** [хккун] „უკან მოტანა“, **серкер** [серккер] „ნიორი“...

აუსლაუტში პრერუპტივები არ დასტურდება.

მიუხედავად ამ პოზიციური შეზღუდვისა, პრერუპტივებს ლეზგიურ ენაში აქვთ ფონემის სტატუსი, რის შესახებაც მინიმალური წყვილები მეტყველებს, მაგ., **тар** [ттар] „ხე“ – **тар** თარი (მუსიკალური ინსტრუმენტი); **кал** [ккал] „ძროხა“ – **кал** „დაუმწიფებელი“, „შემოუსვლელი“; **чин** [ччин] „სახე“ – **чин** „ჩინი“; **це** [цце] „წყალში“ – **це** „მომეცი“ და სხვ. მისთ.

1. ბაგისმიერი თანხმოვნები. წყვილბაგისმიერ ხშულ-მსკდომთა რიგში გვაქვს

ოთხეულეზბრივი სისტემა: **ბ** (ბ), **п** (ფ), **пп** (ფჲ) **пІ** (პ).

წყვილბაგისმიერი სონორი **м** (მ) გამოირჩევა ხშირი გამოყენებით და დასტურდება ყველა პოზიციაში.

რაც შეეხება **в** ასო-ბგერას, ის შეიძლება რეალიზებული იყოს როგორც წყვილბაგისმიერი სონორი **უ** (ინლაუტსა და აუსლაუტში) ან როგორც კბილ-ბაგისმიერი სპირანტი **ვ** (ანლაუტში), მაგ., **верч** (ვერჩ) „ქათამი“, **ветІ** (ვეტ) „კოლო“, **чувал** (ჩუტალ) „ტომარა“, **къав** (კაჲ) „სახურავი“, **цав** (ცაჲ) „ცა“...

ერთადერთი კბილ-ბაგისმიერი სპირანტია ბაგისმიერ თანხმოვანთა შორის არის **ф** (ფ), რომელიც დასტურდება როგორც ნასესხებ, ისე ძირეულ ლექსიკაში, მაგ., **факир** „აზრი“, **фил** „სპილო“, **лиф** „მტრედი“, **циф** „ნისლი“...

2. კბილისმიერი თანხმოვნები. კბილისმიერთა რიგში ერთიანდება: ა) ხშულ-მსკდომები: მჟღერი **д** (დ), ყრუ ფშვინვიერი **т** (თ), ყრუ არაფშვინვიერი (პრერუპტივი) **тт** (თჲ), ყრუ მკვეთრი (აბრუპტივი) **тІ** (ტი); ბ) სონორები: ცხვირისმიერი **н** (ნ), გვერდითი (ლატერალური) **л** (ლ). ეს თანხმოვნები თავს იჩენენ ნებისმიერ პოზიციაში.

რაც შეეხება **л** სონორს, წინა რიგის ხმოვანთა წინ რბილდება, მაგ., **луьле** „ლულა“, **лехь** „არწივი“ და სხვ.

3. წინანუნისმიერი თანხმოვნები. ამ ჯგუფში ერთიანდება ხუთი თანხმოვანი (ლაბიალიზებულებთა გამოკლებით): სისინა აფრიკატების აფრიკატების რიგი (არ გვაქვს მჟღერი **ძ**): **ц** (ც), **цц** (ცჲ), **цІ** (ცი); ბ) სისინა სპირანტები: **з** (ზ), **с** (ს). წინანუნისმიერ თანხმოვნები გვხვდება ყველა პოზიციაში.

4. უკანანუნისმიერი თანხმოვნები. ამ რიგში ერთიანდება შემდეგი თანხმოვნები:

ა) შიშინა აფრიკატები **ч** (ჩ), **чч** (ჩჲ), **чІ** (ჩი); ბ) შიშინა სპირანტები: **ж** (ჯ), **ш** (შ).

აფრიკატები **ч**, **чч**, **чІ** და სპირანტები **ж**, **ш** გვხვდება სიტყვის ნებისმიერ პოზიციაში.

ამავე რიგს მიეკუთვნება ვიზრანტი **р** (რ). ბგერა **р** ქართული რ-ს ანალოგიურია. იგი არაიშვიათი გამოყენების ბგერაა. დასტურდება როგორც ძირეულ მორფემებში, ისე თავსართ-ბოლოსართებშიც. მაგალითად, ფუნქციონირებს მრავლობითი რიცხვის ნიშნად და სხვ.

5. შუაენისმიერი й (ი). ლეზგიური **й** გვხვდება ხმოვანთა მეზობლად, კერძოდ, ხმოვნის წინ ან მის მომდევნოდ – ყველა პოზიციაში, მაგ.: **йиф** „ღამე“, **йис** „წელიწადი“,

кбайи „ცივი“, **цлай** „ცეცხლი“...

6. წინასასისმიერი (წინაველარული) თანხმოვნები. ამ ჯგუფში ერთიანდება ხშულ - მსკდომთა ოთხეული **г** (გ), **к** (ქ), **кк** (ქ), **кI** (კ) და შუაენისმიერი ყრუ ნაპრალოვანი **х** (ხ). მათგან **г, к, кI** შესაბამისი ქართული ბგერების ანალოგიურია, ხოლო **кк** ნაკლები ფშვინვით ხასიათდება (**к ქ**-სთან შედარებით). რაც შეეხება **х**-ს, ასეთი ბგერა ქართულს არ მოეპოვება. **х**-ს წარმოთქმისას ენის ზედაპირის შუა ნაწილი აიწევა მაგარი სასის მიმართულებით. იგი წარმოითქმის შედარებით წინ, ვიდრე ქართული **ხ**.

ყველა ზემოთ დასახელებული ბგერის განაწილება სიტყვაში თავისუფალია – გვხვდება თავკიდურადაც, შუაშიც და ბოლოკიდურადაც.

6. უკანასასისმიერი თანხმოვნები. ამ რიგში შედის სამი აფრიკატი – **хь** (ჟ), **кь** (ჭ), **кь** (ყ) – და ორი ნაპრალოვანი თანხმოვანი: **гь** (ღ), **х** (ბ).

აფრიკატებიდან **кь** ისეთივე ბგერაა, როგორც ქართული **ყ**. **хь** ბგერის ბადალი სალიტერატურო ქართულს ამჟამად არ მოეპოვება, თუმცა დასტურდება მთის დიალექტებსა (ხევსურული, თუშური, მოხეური...) და ქიზიყურში. ლეზგიური **хь** ფშვინვიერია, ხოლო **кь** – არაფშვინვიერია.

რაც შეეხება ნაპრალოვან თანხმოვნებს, მჟღერი სპირანტი **гь** და მისი ყრუ მეწყვილე **х** ქართული **ღ, ხ** ბგერების ბადალია. ყველა ამ რიგის თანხმოვანი, როგორც წესი, სიტყვის ყოველგვარ პოზიციაში დასტურდება.

7. ხორხისმიერი თანხმოვნები. ლეზგიურ ენას, ქართული ჰ-ს ანალოგიურად, აქვს ხორხისმიერი სპირანტი **гь**. ამ ბგერების წარმოთქმაში არსებითი განსხვავება არ შეიმჩნევა. გარდა ამისა, ლეზგიურს მოეპოვება და არაბული ჰამზას (ه) ბადალი ბგერა (ჟ), რომელიც უმთავრესად ბოლოკიდურად გვხვდება სიტყვათა შეზღუდულ რაოდენობაში, მაგ.: **ваъ** „არა“, **къетIъи** „გაბედული“ და ა. შ.

8. ლაბიალიზებული თანხმოვნები. ლაბიალიზებული თანხმოვნების საკითხი ლეზგიურ ენაში მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ლეზგიური ენის შემსწავლელთა დიდი ნაწილი ლაბიალიზებულ თანხმოვნებს მონოფონემებად მიიჩნევს. განსხვავებული მოსაზრება ზოგიერთმა მკვლევარმა (ბ. გიგინეიშვილი, გ. თოფურია და სხვ.) წარმოგვიდგინა. მათი აზრით, ლეზგიურში არა ლაბიალიზებული თანხმოვნები, არამედ ლაბიალური კომპლექსები დასტურდება.

ლეზგიურში ლაბიალიზებულ თანხმოვნებს გამოყოფენ შემდეგ რიგებში (ზოგიერთი მკვლევარი სხვა ლაბიალიზებულ თანხმოვნებზეც მიუთითებს):

დენტალური: **ტვ** (თ°), **ტტვ** (თჟ), **ტივ** (ტი°).

წინაალვეოლარული: **ცივ** (ცი°), **ქივ** (ქი°), **ზვ** (ზი°), **სვ** (სი°)

პოსტალვეოლარული: **ჩივ** (ჩი°)

წინაველარული: **გვ** (გი°), **კვ** (კი°), **კკვ** (კჟ), **ქივ** (კტი°), **ხვ** (ხი°)

უვულარული: **ხვ** (ხი°), **კხვ** (კჟი°), **კხვ** (ყი°)

კიდევ რამდენიმე ლაბიალიზებულ თანხმოვნს აღნიშნავენ ლეზგიური ენის დიალექტებში. ზოგიერთ თქმაში დენტოლაბიალიზებულ თანხმოვნებზეც მიუთითებენ.

თუ გავიზიარებთ ლაბიალიზებული თანხმოვნების მონოფონემურობას, შევნიშნავთ, რომ ისინი პოზიციურად შეზღუდულნი არიან – არ გვხვდებიან ლაბიალური ხმოვნების მეზობლად, **ტვ**, **ცივ**, **გვ**, **კკვ** გვხვდება მხოლოდ ანლაუტსა და ინლაუტში, **სვ**, **ქივ** – მხოლოდ ანლაუტში (ამასთან, **სვ** მხოლოდ რამდენიმე სიტყვაში გვაქვს, ხოლო **ქივ** – ოდენ **ჰ/ე** (ე) ხმოვნის წინ).

ლეზგიურში გვაქვს დაახლ. 50 სახელური ფუძე, რომლებშიც ლაბიალიზებული თანხმოვნები დასტურდება. მათი უმრავლესობა CVC სტრუქტურის ფუძეებია, რომლებშიც ლაბიალიზებულ თანხმოვანს, როგორც წესი, ანლაუტში ადასტურებენ. ზოგიერთი მათგანი არამყარი სტრუქტურით გამოირჩევა, მაგ, **ხვехь** (ქეკ) – **ხუькьве** (ქუქუე) „ლოყა“, **свах** (სახ) – **сухва** (სუხა) „ძირითადი კბილი“. გვაქვს პარალელური ფორმებიც, მაგ, **ქივек** (ქიეკ) || **ქექივ** (ქეკი) „ბზე“, **ტიвех** (ტიეხ) || **ტიехв** (ტიეხ) „ლაქა“. ზოგჯერ ლაბიალიზაცია იშლება, რაც იწვევს ცვლილებებს ფუძეში, კერძოდ არალაბიალური ხმოვნის გადასვლას ლაბიალიზებულში, მაგ, **хват** (ხათ) „ქლიავი“ > **хут-ар** (ხუთ-არ) (მრ. რიცხვ.), **свас** (სას) „რძალი“, „ასული“ > **сус-ар** (სუს-არ) (მრ. რიცხვ.).

ზმნურ ფუძეებში მიუთითებენ ლაბიალიზებული თანხმოვნების არსებობაზე, თუმცა მათი უმრავლესობა არამყარია, მაგ., **тв-аз** (თ-აზ) (ნამყ. და აბს. ფორმა), შდრ. **т-ун** (თ-უნ) „დადება“.

ამრიგად, ლეზგიურში ლაბიალიზებული თანხმოვნების არსებობა არათუ ისტორიულადაა სავარაუდებელი, არამედ ექვს იწვევს მათი გამოყოფა სინქრონიულ

მორფოლოგია

არსებითი სახელი

რიცხვის კატეგორია

მხოლოებითი რიცხვი ლეზგიურ ენაში ნულოვანი მორფემითაა წარმოდგენილი, ანუ სახელი მხოლოებით რიცხვში სიტყვის გაუფორმებელ (წმინდა) ფუძეს ემთხვევა.

არსებით სახელთა მრავლობითი რიცხვი იწარმოება შემდეგი სუფიქსების მეშვეობით: **-ap**, **-ep** (**-əp**), **-ɣp**. ეს სუფიქსები სიტყვის ფუძეს დაერთვის. მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი ამა თუ იმ სუფიქსის დართვა დამოკიდებულია ფუძის სტრუქტურაზე:

-ap ძირითადი ვარიანტია; დაერთვის:

ა) ორ ან მეტმარცვლიან თანხმოვანფუძიან სახელებს: **кIарас-ap** „შეშა“, **кукупI-ap** „გუგულები“, **гамиш-ap** „კამეჩები“...

ბ) უკანა რიგის ხმოვნების (**a**, **y**, **o**) შემცველ თანხმოვანფუძიან ერთმარცვლიან სახელებს: **лам-ap** „ვირები“, **сал-ap** „ბოსტნები“, **кIатн-ap** „წიგნები“...

ამას გარდა, ეს მაწარმოებელი გვხვდება რამდენიმე წინა რიგის ხმოვნის (**и**, **e**) შემცველ ერთმარცვლიან თანხმოვანფუძიან სახელთან: **чин-ap** „სახეები“, **нep-ap** „ცხვირები“, **ӡис-ap** „წლები“.

-ep (**-əp**) დაერთვის:

¹ ლეზგიურ ენაში ლაბიალიზებული თანხმოვნების არსებობის მტკიცებულებად მინიმალური წყვილებს მიიჩნევენ, მაგ., **къван** „ქვა“ – **къан** „სისხვის ალება“, **накъв** „მიწა“ – **накъ** „გუმინ“, **тIвал** „ჯოხი“ – **тIал** „ტკვილი“, „ავადობა“, **хъвач** „წადი“ – **хъач** „ბალახი“ და სხვ. მისთ.

ვფიქრობთ, ამდაგვარი მაგალითებით ლაბიალიზებული თანხმოვნების ფონემურობა ვერ დამტკიცდება. ამისთვის ექსპერიმენტით უნდა დადგინდეს ამ თანხმოვანთა ხანგრძლიობა და იგი არ უნდა აღმატებოდეს ან შეიძლება უმნიშვნელოდ აღმატებოდეს არალაბიალიზებულ თანხმოვანთა ხანგრძლიობას. ასეთ ექსპერიმენტზე მითითება ლეზგიური ენის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში არ შეგვხვდრია, შესაბამისად, საფიქრებელია, რომ ლაბიალიზებულ თანხმოვანთა გამოყოფა ლეზგიურ ენაში მკვლევართა სუბიექტურ აღქმას ეყრდნობა.

ერთმარცვლიან თანხმოვანფუძიან სახელებს, რომლებიც წინა რიგის **и, уь, е, я [აზ]** ხმოვნებს შეიცავენ: **гъил-ер** „ხელები“, **верг-ер** „ჭინჭრები“, **гъуьლ-ер** „ქმრები“, **сят-ер** „საათები“...

ზოგიერთ ერთმარცვლიან თანხმოვანფუძიან სახელებს, რომლებიც დაბოლოებულია **л, н, ц, ч** თანხმოვნებზე და შეიცავს **а** და **у** ხმოვნებს: **кIвал-ер** „სახლები“, **къван-ер** „ქვები“, **кац-ер** „კატები“, **кIвач-ер** „ფეხები“, **ван-ер** „ხმები“...

არსებით სახელებს, რომლებიც გაფორმებულია **-вал** სუფიქსით (**-ер** სუფიქსის დართვისას **-вал** სუფიქსში ხდება ცვლილება: **-вал > -вил**): **игитвил-ер** „გმირობები“, **чирвил-ер** „ცოდნა“ (ზედმიწ. ცოდნები), **абадвил-ер** „მადლი“ (ზედმიწ. მადლები)...

-яр [-აზр] დაერთვის:

ხმოვანფუძიან სახელებს: **бубу-яр** „ყაყაჩოები“, **къубу-яр** „არხები“, **сини-яр** „სინები“, **фяле-яр** „მუშები“...

რუსული ენიდან ნასესხებ ზოგიერთ თანხმოვანფუძიან სახელებს, რომლებიც დაბოლოებულია სონორებზე, **в** თანხმოვანსა და **-ец** ბოლოსართზე (ასეთ შემთხვევაში ფუძესა და მაწარმოებელს შორის ჩნდება **и** ჩანართი): **метр-и-яр** „მეტრები“, **комбайн-и-яр** „კომბაინები“, **нерв-и-яр** „ნერვები“, **комсомольц-и-яр** „კომკავშირელები“ და სხვ. მისთ.

ამ სუფიქსების გარდა, რამდენიმე სიტყვა დაირთავს ალთაური ენებიდან ნესესხებ **-лар/-лер** ბოლოსართებს: **багъ-лар** „ბალები“, **дагъ-лар** „მთები“, **чуйл-лер** „მინდვრები“, **бег-лер** „ბეგები“ და ა. შ.

არის შემთხვევები, როდესაც სახელი გაორკეცებულ მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელ სუფიქსს დაირთავს: **ракI-ар-ар** „კარები“, **мяс-ер-ар** „ჩექმები“, **дакI-ар-ар** „ფანჯრები“...

ბრუნვის კატეგორია

ბრუნვათა სისტემა ლეზგიურ ენაში საკმაოდ რთულია. ბრუნვათა შორის უნდა განვასხვავოთ:

ძირითადი ბრუნვები

ადგილობითი (ლოკატიური) ბრუნვები.

ძირითადი ბრუნვები ოთხია:

სახელობითი

ერგატივი

ნათესაობითი

მიცემითი

ადგილობითი (ლოკატიური) ბრუნვების რაოდენობა ლეზგიურში თოთხმეტია. ეს ბრუნვები ფუნქციონალურად შეესატყვისებიან ქართული ენის თანდებულებს.

სახელობით ბრუნვას ლეზგიურ ენაში თავისი დაბოლოება არ გააჩნია.

ერგატივის დაბოლოებებია: ა) მხოლოდით რიცხვში: **-დი** (**-ცი, ძღი, -ჩი, ჟღი, -ჯი < -ჯი**), **-ედი/-ადი**, **-ინი/-უნი/-უზნი**, **-რა/-რე, -ი, -ა, -ე, -უ, -უზ**. ერგატივის ფორმა საყრდენია ყველა დანარჩენი ე. წ. ირიბი ბრუნვის საწარმოებლად, ანუ ერგატივის ფორმა ირიბ ფუძეს წარმოადგენს. ერგატივის ნიშანთაგან, **-დი** დაერთვის ორ და მეტმარცვლიან ფუძეებსა და ზოგიერთ ერთმარცვლიანსაც; მათ შორისაა, ახალი ნასესხობები, მაგ., **пек „აბრეშუმი“** - ერგ. **пек-დი**, **къуш „ჩიტი“** - ერგ. **къуш-დი** და სხვ. ამ მაწარმოებლის სხვა ფონეტიკური ვარიანტები (**-ცი, ძღი, -ჩი, ჟღი, -ჯი < -ჯი**) გვხვდება ერთმაცვლიან სიტყვებთან, რომლებიც დაბოლოებულია სონორებზე: **пар „ტვირთი“** - ერგ. **пар-ცი**, **шар „ჭიკაყელა“** - ერგ. **шар-ჩი**, **чIар „თმის ღერი“** - ერგ. **чIар-ჟღი**, **жин „ჯინი“** - ერგ. **жин-ჯი** და ა.შ.

-ინი/-უნი/-უზნი (საწყისი ხმოვანი დამოკიდებულია ფუძისეულ ხმოვანზე) დაერთვის ერთმარცვლიან სახელებს, რომელთა დათვლაც შეძვიძლია: **саф „საცერი“** - ერგ. **саф-უნი**, **туьд „ყელი“** - ერგ. **туьт-უზნი** და ა.შ. ეს მაწარმოებლები ახალ ნასესხობებსაც დაერთვის, თუ ისინი თანხმოვანთა კომპლექსზე არიან დაბოლოებულნი: **танк „ტანკი“** - ერგ. **танк-უნი**, **ирс „მემკვიდრეობა“** - ერგ. **ирс-ინი** და სხვ.

-ედი/-ადი (საწყისი ხმოვანი დამოკიდებულია ფუძისეულ ხმოვანზე) დაერთვის ერთმარცვლიან სახელებს, რომელთა დათვლაც შეუძლებელია: **нафтI „ნავთი“** - ერგ. **нафтI-ადი**, **муркI „ყინული“** - ერგ. **муркI-ადი**, **накъв „მიწა“** - ერგ. **накъв-ადი**, **чиг „ნამი“** - ერგ. **чиг-ედი**, **некI „რძე“** - ერგ. **некI-ედი** და ა. შ.

-რე/-რა (ხმოვანი დამოკიდებულია ფუძისეულ ხმოვანზე) დაერთვის ზოგიერთ ერთმარცვლიან სულიერ არსებით სახელს: **чIут „რწყილი“** - ერგ. **чIут-რა**, **сев „დათვი“** -

ერგ. сев-ре, руьц „ანკარა“ (გველი) - ერგ. руьц-ре, сикI „მელია“ - ერგ. сикI-ре...

-и, -а, -у, -уь დაერთვის ზოგიერთ ერთმარცვლიან სახელს. ფონეტიკური ან სემანტიკური პრინციპები ნათელი არ არის: як „ხორცი“ - ერგ. якI-у, муртI „კუთხე“ - ერგ. муртI-у, гьил „ხელი“ - ერგ. гьил-и, гьуьл „ქმარი“- ერგ. гьуьл-уь, кIел „ბატკანი“ - ერგ. кIел-е და სხვ.

ნათესაობითი ნიშანია -и, რომელიც ერგატივის ბრუნვის ფორმას დაერთვის.

მიცემითი ნიშანია -з. მიცემითიც ერგატივის ფორმაზე დაყრდნობით იწარმოება.

ადგილობითი (ლოკატიური) ბრუნვები ლეზგიურში ხუთ სერიას ქმნის. თითოეულ სერიაში სამ-სამი ბრუნვაა:

1. ადგილობითი – (სად?)
2. მიმართულებითი – (საითკენ?)
3. დაშორებითი – (საიდან?)

თითოეულ სერიაში შემავალი ეს ბრუნვები იყოფა ორ ჯგუფად:

მდგომარეობის (სად?) გამომხატველი ბრუნვები და მოძრაობის (საითკენ? საიდან?) გამომხატველი ბრუნვები.

მდგომარეობის გამომხატველ ადგილობით ბრუნვათა ნიშნები განსხვავებულია სერიათა მიხედვით:

სერია	ნიშანი	მნიშვნელობა
I	-в	-თან“
II	-хь	„შემდეგ“
III	-к	„ქვეშ“
IV	-а, -е	„ში“
V	-аӡ	„ზე“

მოძრაობის გამომხატველ ბრუნვათა ნიშნები საერთოა სხვადასხვა სერიებში: მიმართულებითის ნიშანია -ди, დაშორებითისა – -аӡ (I და V სერ.). ეს ნიშნები დაერთვის ადგილობითი ბრუნვის ამა თუ იმ ფორმას, განსხვავებულს სერიათა მიხედვით.

ბრუნების ნიმუშები

№	ბრუნვები	მხოლოდობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
1.	სახ.	ბუბა „მამა“	ბუბაჲრ „მამები“
2.	ერგ.	ბუბადი „მამამ“	ბუბაჲრი
3.	ნათ.	ბუბადინ „მამის“	ბუბაჲრინ
4.	მიც.	ბუბადიზ „მამას“	ბუბაჲრიზ
5.	ადგილ. I	ბუბადივ „მამასთან“	ბუბაჲრივ
6.	დაშორ. I	ბუბადივაი „მამისგან“ (ახლოდან)	ბუბაჲრივაი
7.	მიმართ. I	ბუბადივდი „მამისკენ“ (ახლოს)	ბუბაჲრივდი
8.	ადგილ. II	ბუბადიხჲ „მამის შემდეგ“	ბუბაჲრიხჲ
9.	დაშორ. II	ბუბადიხჲაი „მამისგან“ (შემდეგ)	ბუბაჲრიხჲაი
10.	მიმართ. II	ბუბადიხჲდი „მამისკენ“ (შემდეგ)	ბუბაჲრიხჲდი
11.	ადგილ. III	ბუბადიკ „მამის ქვეშ“	ბუბაჲრიკ
12.	დაშორ. III	ბუბადიკაი „მამისგან“ (ქვემოდან)	ბუბაჲრიკაი
13.	მიმართ. III	ბუბადიკდი „მამისკენ“ (ქვემოთ)	ბუბაჲრიკდი
14.	ადგილ. IV	ბუბადა „მამაში“	ბუბაჲრა
15.	დაშორ. IV	ბუბადაი „მამისგან“ (შიგნიდან)	ბუბაჲრაი
16.	ადგილ. V	ბუბადალ „მამაზე“	ბუბაჲრალ
17.	დაშორ. V	ბუბადალაი „მამისგან“ (ზემოდან)	ბუბაჲრალაი
18.	მიმართ. V	ბუბადალდი „მამისკენ“ (ზემოთ)	ბუბაჲრალდი

№	ბრუნვები	მხოლოდობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
1.	სახ.	ლექჲ „არწივი“	ლექჲერ „არწივები“
2.	ერგ.	ლექჲრე	ლექჲერი
3.	ნათ.	ლექჲრენ	ლექჲერინ
4.	მიც.	ლექჲრეზ	ლექჲერიზ
5.	ადგილ. I	ლექჲრევ	ლექჲერივ
6.	დაშორ. I	ლექჲრევაი	ლექჲერივაი
7.	მიმართ. I	ლექჲრევდი	ლექჲერივდი
8.	ადგილ. II	ლექჲრეხჲ	ლექჲერიხჲ
9.	დაშორ. II	ლექჲრეხჲაი	ლექჲერიხჲაი
10.	მიმართ. II	ლექჲრეხჲდი	ლექჲერიხჲდი
11.	ადგილ. III	ლექჲრეკ	ლექჲერიკ
12.	დაშორ. III	ლექჲრეკაი	ლექჲერიკაი
13.	მიმართ. III	ლექჲრეკდი	ლექჲერიკდი
14.	ადგილ. IV	ლექჲრე	ლექჲერა
15.	დაშორ. IV	ლექჲრეი	ლექჲერაი
16.	ადგილ. V	ლექჲრელ	ლექჲერალ
17.	დაშორ. V	ლექჲრელაი	ლექჲერილაი
18.	მიმართ. V	ლექჲრელდი	ლექჲერალდი

ზედსართავი სახელი

ზედსართავ სახელს ლეზგიურ ენაში არ აქვს საკუთარი მაწარმოებელი. ზედსართავთა საწარმოებლად ამჟამად პროდუქტიულია აზერბაიჯანული ენიდან ნასესხები ორი სუფიქსი: **-лу** და **-суз**, მაგ., **гуж-лу** „ძლიერი“ (< **гуж** „ძალა“), **акьул-лу** „ჭკვიანი“ (< **акьул** „ჭკუა“), **бахт-лу** „ბედნიერი“ (< **бахт** „ბედნიერება“, „ბედი“) **акул-суз** „უჭკუო“, **бахт-суз** „უდებური“...

როგორც წესი, ზედსართავი სახელი გვევლინება ატრუბუტული ფუნქციით. ზედსართავები ლეზგიურ ენაში ორ დიდ ჯგუფად იყოფა: ვითარებითი და მიმართებითი. კუთვნილებითი ზედსართავი სახელი ლეზგიურში არ გვაქვს, მათი ფუნქციით გამოიყენება არსებითი სახელის ნათესაბითი ბრუნვის ფორმა.

შედარებითი ხარისხები ზედსართავ სახელს არ აქვს. ამ ფუნქციით გამოიყენება ანალიტიკური კონსტრუქციები, რომლებიც შედგება ზედსართავისა და სიტყვებისან **лап** „ძალიან“, „ნამეტანი“ და **гзаф** „ძალიან“, „ბევრი“, „ყველაზე“, მაგ., **хъсан** „კარგი“ – **лап хъсан** „ძალიან კარგი“; **яргъи** „გრძელი“ – **гзаф яргъи** „ძალიან გრძელი“...

სიტყვათა დიდი ჯგუფი არსებითი სახელის წინ გვევლინება ზედსართავ სახელად, ხოლო ზმნის წინ – ზმნისართად, მაგ., **хъсан** **кIвалер** „კარგი სახლი“, მაგრამ: **хъсан** **тIуьна** „კარგად ჭამა“...

ზედსართავი სახელის ბრუნება. როცა ზედსართავი სახელი არსებითს ახლავს (მსაზღვრელად), ის არ იცვლება ბრუნვათა მიხედვით. ასეთ შემთხვევაში ზედსართავი სახელი წინ უსწრებს არსებით სახელს და იგი არ ეთანხმება საზღვრულს არც რიცხვში და არც ბრუნვაში. იბრუნვის მხოლოდ გასუბსტანტივებული ზედსართავი სახელი. ზედსართავის გასუბსტანტივება ხდება **-ди** (მხოლოდობით რიცხვში) და **-бур** (მრავლობით რიცხვში) სუფიქსების მეშვეობით. იბრუნვის ზედსართავი სახელი ასე:

სახ. **яруди** „წითელი“ – მრ.რ. **ярубур** „წითლები“

ერგ.	яруда	ярубур
ნათ.	ярудан	ярубурун
მიც.	ярудаз	ярубуруз
ადგ. I	ярудав	ярубурув
დამ. I	ярудавай	ярубурувай
მიმ. I	ярудавди	ярубурувди

ადგ. II	ярудахъ	ярубурухъ
დაშ. II	ярудахъай	ярубурухъай
მიმ. II	ярудахъდი	ярубурухъდი
ადგ. III	ярудак	ярубурუკ
დაშ. III	яруდაკაი	ярубურუკაი
მიმ. III	яруდაკდი	ярубურუკდი
ადგ. IV	яруდა	ярубურა
დაშ. IV	яруდაი	ярубურაი
ადგ. V	ярудал	ярубურალ
დაშ. V	ярудалაი	ярубურალაი
მიმ. V	ярудалდი	ярубურალდი

რიცხვითი სახელი

რიცხვითი სახელი ლეზგიურ ენაში შემდეგი სახისაა: ა) რაოდენობითი; ბ) რიგობითი; გ) წილადი; დ) ჯერადი; ე) წყვილობითი (დაშლით-დანაწილებითი) ვ) კრებადი.

რაოდენობითი რიცხვითი სახელები: сад „ერთი“, къвед „ორი“, пуд „სამი“, къуд „ოთხი“, вад „ხუთი“, ругуд „ექვსი“, ирид „შვიდი“, муъжухъд „რვა“, кIухъд „ცხრა“, цIуд „ათი“, къად „ოცი“, яхцIур „ორმოცი“, виш „ასი“, агъзур „ათასი“. რიცხვითი სახელები 11-დან 19-მდე იწარმოება цIუ- „ათი“ ლექსემის დახმარებით: цIусад „თერთმეტი“, цIикъвед „თორმეტი“, цIипуд „ცამეტი“ და ა. შ.

ათეულების აღმნიშვნელად გამოყენებულია ოცობითი სისტემა: къанни цIуд „ოცდაათი“, яхцIური цIуд „ორმოცდაათი“, пудкъად „სამოცი“, пудкъанни цIуд „სამოცდაათი“, къуд-къად „ოთხმოცი“, къუდкъანни цIуд „ოცხმოცდაათი“.

რიგობითი რიცხვითი სახელი იწარმოება ანალიტიკურად: შესაბამისი რაოდენობითი რიცხვითი სახელი + მიმღობა ლაგაი „თქმული“: вад ლაგაი „მეხუთე“, вишни къუდкъანни цIуд ლაგაი „ას ოთხმოცდა მეათე“ და ა. შ. სუბსტანტივიზაციისას იბრუნვის მხოლოდ მიმღობური ნაწილი: цIуд ლაგაი „მეათე“ – მრ. რიცხვ. цIуд ლაგაიბურ, ერგ. цIуд ლაგაიდა, цIуд ლაგაიბურუ (მრ. რიცხვ.)...

წილადი რიცხვითი სახელები იწარმოება ფორმულით „მნიშვნელი დაშორებითი IV-ს ფორმით + მრიცხველი სახელობითში“: муъжухъდაй сад „ერთი მერვედი“, пудაი къвед „ორი მესამედი“, цIუდაი пуд „სამი მეათედი“ და ა. შ.

ჯერადი რიცხვითი სახელი იწარმოება **-ра** სუფიქსის მეშვეობით, რომელიც შესაბამის რიცხვით სახელს დაერთვის: **кьвед-ра** „ორჯერ“, **пуд-ра** „სამჯერ“, **цIуд-ра** „ათჯერ“, **виш-ра** „ასჯერ“...

წყვილობითი რიცხვითი სახელი შესაბამისი რაოდენობითი რიცხვითი სახელის რედუქციაციითაა მიღებული: **сад-сад** „ერთ-ერთი“, **пуд-пуд** „სამ-სამი“...

კრებადი რიცხვითი სახელები ლეზგიურ ენაში იწარმოება შესაბამის რაოდენობით სახელთაგან **-ни** ნაწილაკის დართვით, მაგალითად: **кьвед-ни** „ორივე“, **пуд-ни** „სამივე“, **вад-ни** „ხუთივე“, **цIуд-ни** „ათივე“. ამის გარდა, კრებადი რიცხვითი სახელები აღწერთადაც იწარმოება - შესაბამისი რაოდენობითი სახელისა და **санал** ლექსემის მეშვეობით: **пуд санал** „სამივე“, **цIуд санал** „ათივე“ და ა. შ.

რიცხვითი სახელი იბრუნვის მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი სუბსტანტივის ფუნქციით არის გამოყენებული, მაგ.:

სახ. **кьуд** „ოთხი“ - მრ. რიცხვ. **кьудбур/кьудар**, ერგ. **кьуда /кьудбур/кьудри**, ნათ. **кьудан / кьудбурн / кьудрин**, მიც. **кьудаз / кьудбурз / кьудриз**... რთულ რაოდენობით სახელებში ბრუნებისას იცვლება ბოლო კომპონენტი: **цIувад** „თხუთმეტი“ - **цIувадаз** (მიც.).

რიცხვითი სახელი მსაზღვრელის ფუნქციით უბრუნველია: **вад** **руш** „ხუთი ქალიშვილი“, **вад** **рушаз** „ხუთ ქალიშვილს“.

ნაცვალსახელი

ლეზგიურ ენაში შემდეგი სახის ნაცვალსახელები დასტურდება: ა) პირის; ბ) ჩვენებითი; გ) უკუკცევითი; დ) კითხვითი; ე) განსაზღვრებითი; ვ) განუსაზღვრელობითი; ზ) უარყოფითი:

პირის ნაცვალსახელები: **зун** „მე“, **вун** „შენ“, **чун** „ჩვენ“, **куьн** „თქვენ“, **ам/им** „ის“, **абур/ибур** „ისინი“. III პირის ნაცვალსახელები შესაბამის ჩვენებით ნაცვალსახელთაგან განსხვავდებიან **-м** ფორმანტის ქონით სახელობითში (შდრ. **и** „ეს“, **а** „ის“ (ახლოს მყოფი)). I და II პირის ნაცვალსახელთა ერგატივისა და გენტივის ფორმები თავისებურად იწარმოება. დანარჩენი ფორმები დატივის ფორმას ეყრდნობა.

პირის ნაცვალსახელთა ბრუნება

სახ.	зун მე	вун შენ	чун ჩვენ	куьн თქვენ
ერგ.	за	вуна/на	чна	куьне
ნათ.	зи	ви	чи	куь
მიც.	за-з	ва-з	ча-з	кве-з
ადგ. I	за-в...			
სახ.	им ის (ეს)	ибур ისინი (ესენი)	ам ის	абур ისინი
ერგ.	ида	ибуру	ада	абуру
ნათ.	идан	ибурун	адан	абурун
მიც.	идаз	ибуруз	адаэ	абуруз
ადგ. I	идав...			

უკუკვევითი ნაცვალსახელები ჯუვ „მე თვითონ“, „შენ თვითონ“ (I და II პირისთვის) - ერგ. жува, вич „ის თვითონ“ (მხოლოდ III პირისთვის) - ერგ. вичи, чеб „თვითონ ისინი“ - ერგ. чпи. დანარჩენი ირიბი ბრუნვების ფორმები იწარმოება სტანდარტულად.

ჩვენებითი ნაცვალსახელები: и „ეს“, а „ის“ (ახლოს მყოფი), аIа „ის“ (შორს მყოფი), гъа „ის“ (უკვე ნახსენები), агъа ის (ქვემოთ მყოფი), вини „ის“ (მაღლა მყოფი).

კითხვითი: вуж „ვინ?“, вуч „რა?“, гъи „რომელი?“, шумуд „რამდენი?“. პირველ ორ ნაცვალსახელს აქვს ირიბი ფუძის სუბლექტური ფორმა: вуж - ერგ. ни, вуч - ერგ. куь. ნაცვალსახელი гъი „რომელი?“ გასუბსტანტივებისას იბრუნვის ჩვენებითი ნაცვალსახელების მსგავსად: სახ. гъим - ერგ. гъида, ნათ. гъидан, მიც. гъидаз...

განსაზღვრელობითი: ვირი „ყველა“, гъар „ყოველი“. ეს ნაცვალსახელებიც ჩვენებით ნაცვალსახელთა მსგავსად იბრუნვის.

განუსაზღვრელობით ნაცვალსახელებს მიეკუთვნება маса „სხვა“, муькуь „სხვა“, флаи „ვიღაცა“, са „ერთი“, „ვიღაც“, бязи „ზოგი“. ეს ნაცვალსახელები ჩვენებით ნაცვალსახელთა მსგავსად იბრუნვის.

უარყოფითი ნაცვალსახელები, ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ლეზგიურ ენაში არ გვაქვს, სხვა სპეციალისტების შეხედულებით, მათ მიეკუთვნება -**ნი** ნაწილაკიანი ფორმები (сад-**ნი**, кас-**ნი** „არავინ“, затI-**ნი** „არარა“).

ზმნა

დროის კატეგორია. ლეზგიური ზმნა ხასიათდება დრო-კილოთა განვითარებული სისტემით, რომელიც იწარმოება როგორც სუფიქსაციის გზით, ისე ანალიტიკურად (მეშველ ზმნათა მონაწილეობით).

დრო-კილოები ლეზგიურ ენაში ნაწარმოებია ორ ფუძეზე დაყრდნობით: უსრული სახის ფუძეს აწარმოებს **-y (-и)** სუფიქსი, ხოლო სრული სახის ფუძეს – **-a (-е)**:

ацIу-з „ავსება“ - ацIа-на „ავსებსო“

вегыи-з „გდება“ - вегые-на „გადააგდო“.

ნამყო I გამოხატავს მოქმედებას წარსულში დაკონკრეტების გარეშე. აწარმოებს **-на** სუფიქსი, რომელიც სრული სახის ფუძეს დაერთვის (მასდ: кIел-ун „კითხვა“ - кIел-на, кхь-ин „წერა“ - кхье-на, рахун „თქმა“ - раха-на).

მყოფადი უსრული სახის ფუძეს ეყრდნობა და მას **-да** სუფიქსი აწარმოებს (кхьи-з „წერა“ - кхьи-да, раха-з „თქმა“ - раха-да).

დრო-კილოთა მნიშვნელოვანი ნაწილი ლეზგიურ ენაში იწარმოება ნამყო I-სა და ზ-ფორმანტიან მიზნობრივ ფორმაზე (ზოგიერთი კლასიფიკაციით, ინფინიტივი) დაყრდნობით. ეს ფორმები მეშველი ზმნების **ава** და **ама** მონაწილეობით გვაძლავს ფორმათა მთელ წყებას:

აწმყო I იწარმოება ზმნის მიზნობრივ ფორმაზე დაყრდნობით **ава** მეშველი ზმნის („ყოფნა“) დახმარებით, მაგ.: кхьиэ „წერა“ - кхьиз-ва, рахаз „თქმა“ - рахаз-ва. აწმყო I გადმოსცემს მოქმედებას, რომელიც უშუალოდ საუბრის მომენტში მიმდინარეობს: Анжах ина билбил, ажуз, зайиф кьуш я, гьамлу яз **шезава** „აქ მხოლოდ ბუღბუღი, სუსტი უღონო ჩიტი, დარდიანად ტირის“.

აწმყო II ზმნის მიზნობრივ ფორმაზე დაყრდნობით **ама** მეშველი ზმნის („კიდევ ყოფნა“) დახმარებით იწარმოება (кхьиэ „წერა“ - кхьиз-ма, рахаз „თქმა“ - рахаз-ма) და გადმოსცემს მოქმედებას, რომელიც მიმდინარეობს თქმის მომენტში, თუმცა დაწყებულია ადრე.

ნამყო III ნამყო I-ის ფორმაზე დაყრდნობით იწარმოება მეშველი ზმნის **ава** „ყოფნა“ მეშველობით (кхьена - кхьен-ва, рахана - рахан-ва) და გამოხატავს დასრულებულ

მოქმედებას, რომლის შედეგიც წარმოდგენილია აწმყოში: Адан гыкаяярни, и низ килигна, гыа вичиз дериндай чидай и месэлайрикай кхьенва „მისი მოთხრობები დაწერილია მისთვის კარგად ცნობილ მოვლენებზე“.

ამ ფორმებს უნდა დავუმატოთ რამდენიმე დრო, რომელიც **-ი** სუფიქსის მეშვეობით იწარმოება აღნიშნულ ფუძეთაგან, რის შედეგადაც მოქმედება გადადის ნამყოში.

ნამყო უსრული I აწმყო I-ის ფორმას ემყარება (кхьизва - кхьизва-**ი**, рахазва - рахазва-**ი**) და აღნიშნავს დაუსრულებელი მოქმედების პროცესს, რომელიც წინ უძღვის მეტყველების აქტს (= იმპერფექტი): Къвердавай пехърен гъарай-вургъайдин ван къати **жезвай** „ყვავების ჩხავილი სულ უფრო ძლიერდებოდა“.

ნამყო უსრული II აწმყო II-ს ფორმას იყენებს (кхьизма - кхьизма-**ი**, рахазма - рахазма-**ი**) და აღნიშნავს მოქმედების პროცესს, რომელიც წინ უძღვის მეტყველების აქტს და უთითებს მოქმედების დაუსრულებლობაზე სხვა რომელიმე მოქმედების მომენტისთვის: аял гъеле **ксанамай** „ბავშვს ჯერ კიდევ ეძინა“; бубади **кВалахзамай** „მამა ჯერ კიდევ მუშაობს“.

ნამყო უსრული III მყოფადის ფორმას ეყრდნობა (кхьида - кхьида-**ი**, рахада - рахада-**ი**) და გამოხატავს წარსულში მომხდარ მოქმედებას, მაგრამ შეუზღუდავად განგრძნობადს მომავალში: Ризадин хъутьIер гыа икI **акъатдай** „ზამთრები რიზასთვის ასე გადიოდა (ხოლმე)“.

ნამყო წინარეწარსული I ნამყო I-ის ფორმაზე დაყრდნობით იწარმოება (кхьена - кхьенай, рахана - раханай) და გადმოსცემს წარსულში დასრულებულ მოქმედებას, რომელიც დიდი ხნის წინ დამთავრდა: Хуъре 4-5 йисуз яшамиш хъайила ада сифте чIалар тукIуъриз **башпамишнай** „მას შემდეგ, რაც სოფელში იცხოვრა 4-5 მანძილზე, მან დაიწყო ლექსების წერა“.

ნამყო წინარეწარსული II ნამყო III-ს ფორმას ემყარება (кхьенва - кхьенва-**ი**, раханва - раханва-**ი**) და აღნიშნავს წარსულში დასრულებულ მოქმედებას, რომლის შედეგიც წარსულში დარჩა: Хуъруьн халкъ вири кIватI **хъанвай** „ყველა თანასოფელი მოგროვდა“.

ნამყო წინარეწარსული III იწარმოება შემდეგი მოდელის მიხედვით: სრული სახის ფუძე + მეშველი ზმნა **ама** + **-ი** სუფიქსი (кхьена - кхьен-**ама-ი**, рахана - рахан-**ама-ი**). ეს

ფორმა აღნიშნავს მოქმედებას, რომელიც დაწყებულია წარსულში დიდი ხნის წინ, თუმცა არ არის დამთავრებული გამონათქვამის მომენტში. ეს ფორმა არქაულია, თანამედროვე ლეზგიურ ენაში თითქმის არ გამოიყენება.

ნამყო II იწარმოება მიმდებარის ფორმაზე დაყრდნობით -a სიფიქსის მეშვეობით (кьур „დაჭერილი“ - кьур-а, кхьей „დაწერილი“ - кхье-я [кхьей-а]). აღნიშნავს დამთავრებულ მოქმედებას, რომელიც მოულოდნელია მთხრობელისთვის: За ам къвеч лугъузвай, атая хьи „მე მეგონა არ მოვიდოდა, მაგრამ მოვიდა“.

კილოს კატეგორია. თხრობით კილოს ლეზგიურ ენაში არ მოეპოვება მარკირებული ფორმები და რეალიზებულია სხვადასხვა ჩვეულებრივი დროის ფორმით.

ლეზგიურ ენაში დასტურდება ბრძანებითი კილოს წარმოების რამდენიმე ტიპი:

I ტიპი - ბრძანებითი ფორმა ემთხვევა ზმნის ფუძეს: къачу- „აღება“ > къачу „აიღე“, чIугу- „ჭიშკა“ > чIугу „გაჭიმე“... თუ ზმნა თანხოვანფუძიანია, ბრძანებითში მას ხშირად -a სუფიქსი დაერთვის (და ზოგჯერ ჰქმნის პარალელურ ვარიანტებს): агакъ- „მიცვდენა“ > агакъ/-а „მიწვდი“-a სუფიქსიანი წარმოება ყოველთვის ახასიათებს რთული ზმნების სინტეტიკურ ვარიანტებს: кIвалах-а „იმუშავე“ (< кIвалахун//кIвалах авун „მუშაობა“).

II ტიპი (როგორც წესი, უზმნისწინო ერთმარცვლიან ზმნურ ფუძეებთან) იწარმოება ფუძისეული თანხმოვნის რედუპლიკაციით (чухъухън - „რეცხვა“ > чухъухъ „გარეცხე“).

III ტიპი -p(a) ექსპონენტის სუფიქსაციის მეშვეობით იწარმოება: къ- „გაგრილება“, „გაციება“ > къура „გაგრილდი“.

IV ტიპი - რთული ზმნები, რომელთა авун и хьун ფორმები აწარმოებს. აქ ბრძანებითი იწარმოება ანალიტიკურად - აღნიშნულ ფორმათა დართვით ბრძანებითი კილოს ფორმით (кIвалах авун „მუშაობა“ > кIвалах ая „იმუშავე“).

სუპლექტურად ან არარეგულარულად იწარმოება შემდეგი ზმნების ბრძანებითი კილოს ფორმები: авун „კეთება“ > ая „გააკეთე“, гун „მოცემა“ > це „მომეცი“, фин „სიარული“ > алад „იარე“, тIуьн „ჭამა“ > не(ъ) „ჭამე“, атун „მოსვლა“ > ша „მოდი“, кьун „ჭერა“ > яхъ „დაიჭირე“, гьун „მოტანა“ > гъваш „მოიტანე“, кьин „მოკვდომა“ > йикъ „მოკვდი“.

აკრძალვითი კილო (პროჰიბიტივი) იწარმოება **-мир** სუფიქსის მეშვეობით, რომელიც ინფინიტივის ფუძეს დაერთვის: **къачу-з** „ალება“ > **къачу-мир** „არ აილო“, **же-з** „ყოფნა“ > **же-мир** „ნუ ხარ“.

კითხვით კილოს აწარმოებს **-ни** კითხვითი ნაწილაკი, რომელიც სხვადასხვა დროებს დაერთვის: **атун** „მოსვლა“ > **атана-ни** „მოვიდა?“, **къведа-ни** „მოვა?“, **атанай-ни** „იყო მოსული?“.

პირობითი კილო **-тIа** სუფიქსის მეშვეობით იწარმოება, რომელიც, აგრეთვე, სხვადასხვა დროის ფორმას დაერთვის: **къведа** „მოვა“ > **къведа-тIа** „რომ მოვიდეს“; **атана** „მოვიდა“ > **атана-тIа** „თუ მოვიდა“, **атанай-тIа** „რომ მოსულიყო“.

დათმობითი კილო რეგულარულად იწარმოება პირობითი კილოს ფორმაზე დაყრდნობით **-ни** ფორმანტის მეშვეობით: **къведатIа-ни** „რომც მოვიდეს“.

უარყოფით ფორმებს, რომლებიც ლეზგიური ენის სპეციალისტთა მიერ ხშირად გააზრებულია როგორც კილო, აწარმოებს უარყოფის სუფიქსები **-ч**, **-чир** (ნამყო): **атана** „მოვიდა“ > **атана-ч** „არ მოვიდა“.

სახელზმნური ფორმები. ძირითადი სახელზმნური ფორმები, რომლებიც მრავალ დრო-კილოთა დასაბამია, არის მასდარი, მიზნობრივი ფორმა (ინფინიტივი) და ნამყოს მიმღეობა.

მასდარი იწარმოება **-н** სუფიქსის მეშვეობით (**аву-н** „კეთება“, **къачу-н** „ალება“, **фи-н** „სიარული“), ხოლო მიზნობრივი ფორმა - **-з** სუფიქსის (**ийи-з** „კეთება“, **къачу-з** „ალება“, **фи-з** „სიარული“). ორივე მაწარმოებელი ზმნის ფუძეს დაერთვის.

მიმღეობა და აბსოლუტივი ლეზგიურ ენაში დამოუკიდებელ ფორმებად ვერ ჩამოყალიბდა. მიმღეობა, რომელიც **-й** სუფიქსის მეშვეობით იწარმოება, ემთხვევა ზმნურ დროთა ფორმებს

ნამყოს მიმღეობას მაინც მოეპოვება ერთი დამოუკიდებელი ფორმა, რომელიც სრული სახის ფუძეზე დაყრდნობით იწარმოება **-р** და **-йи** ფორმანტების მეშვეობით: **кьу-н** „დაჭერა“ > **кьу-р**, **тIуь-н** „ჭამა“ > **тIуь-р**, **фин** (ნამყო **фе-на**) „სიარული“ > **фе-йи**. მიმღეობა, როცა გვევლინება სუბსტანტივის ფუნქციით, იბრუნვის ზედსართავთა მსგავსად.

აბსოლუტივსაც არ მოეპოვება განსხვავებული ფორმები. ასე, აწმყოს (// უსრული სახის) აბსოლუტივის ფორმა ემთხვევა ზმნის მიზნობრივ ფორმას, ხოლო ნამყოს (//

სრული სახის) – სრული სახის ნამყოს ფინიტურ ფორმას: хкадриз - хкадриз хъфена „ხტუნვა-ხტუნვით წავიდა“, ацукъна незва „დამჯდარი ჭამს“.

ლეზგიურ ენაში გვხვდება მრავალრიცხოვანი ზმნური ფორმები, რომელიც დამოკიდებულ პრედიკატულ კონსტრუქციებში მონაწილეობს. ასე, მაგალითად, ფორმა, რომელიც დროით დამოკიდებულებას გამოხატავს და იწარმოება შესაბამისი მიმდევობის ფორმაზე დაყრდნობით -ла სუფიქსის მეშვეობით (მაგალითად, ნამყო მიმდევობის: къачур „ადებული“ > къачурла „როცა აიღო“, фейи „წასული“ > фейила „როცა წავიდა“ და ა. შ.).

ზმნიზედა

ზმნიზედა ლეზგიურ ენაში ბოლომდე არ არის ჩამოყალიბებული როგორც მეტყველების დამოუკიდებელი ნაწილი. ბევრი ზმნიზედა არ კარგავს სემანტიკურ კავშირს იმ სახელებთან, რომელთაგან არის წარმოშობილი. ზმნისართთა უმრავლესობა ფორმაუცვლელია, თუმცა ზოგიერთს (განსაკუთრებით, სივრცის აღმნიშვნელს) ახასიათებს ფორმათა ნაწილობრივი ცვლა, რომელშიც ერთმანეთს უპირისპირდება ლოკატივი, აბლატივი და ალატივი (ამ ფუნქციით მიცემითის გაქვავებული ფორმები გვევლინება): инал „აქ“, инай „აქედან“, иниз „აქეთ“ და ა. შ.

გამოიყოფა შემდეგი ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფები:

ა. სივრცითი (ადგილის) - ეს ძირითადად ნაცვალსახელური წარმოშობის ფორმებია: инал „აქ“, гъана „იქ“; ან გაქვავებულ ბრუნვათა ფორმები.

ბ. ვითარებითი – როგორც წესი, ნაწარმოებია ზმნისართებისაგან სხვადასხვა სუფიქსების მეშვეობით, მათ შორის, ბრუნვის ნიშანთა: кьериз „იშვიათად“, уьткъемдаказ „მამაცურად“, шаксузвилелди „უეჭველად“.

გ. დროის - პირველადი: къе „დღეს“, гъамиша „ყოველთვის“, накъ „გუშინ“, гила „ახლა“; სახელური (გაქვავებული ბრუნვის ფორმები): гатуз „ზაფხულში“ < гад „ზაფხული“, йифиз „ღამეში“ < йиф „ღამე“...

დ. ხარისხის: живи „ძლივს“, лап „ძალიან“...

ე. მიზეზის: къастунай „განზრახ“, кичIевиляй „შიშით“...

e. რაოდენობის - დამოუკიდებელი ლექსემებია, რომელთა შორის ბევრია ნასესხობა: тИмил „ცოტა“, гзаф „ბევრი“, тамам „საკმარისი“ და ა. შ.

თანდებული

თანდებულები წარმოშობით არიან ან არსებით სახელთა ირიბ ბრუნვათა (къвалав „თან“, „ახლოს“ < къвал „გვერდი“, „მხარე“, кІаник „ქვეშ“ < кІан „ძირი“) ან სხვადასხვა ზმნური/სახელზმნური (აბსოლუტივი) (галаз „თან“, „ერთად“ < гала „ყოფნა“, килигна „გამო“ < килигун „ყურება“), ანდა ზმნისართული ფორმები. ხშირად თანდებულები ზმნისართავეს ფორმოზრივად ემთხვევა.

ამა თუ იმ ბრუნვის ფორმის მართვის მიხედვით თანდებულები სამ ჯგუფად იყოფა:

- ა) მოითხოვს სახელობით ბრუნვას: патал(ди) „-თვის“, къван „მსაგავსად“;
- ბ) მოითხოვს ნათესაობით ბრუნვას: патав „თან“, „ახლოს“, винел „-ზე“, „ზემოთ“, арада „შორის“, кІаник „ქვეშ“, еринда „ნაცვლად“;
- გ) მოითხოვს ერთ-ერთ ადგილობით ბრუნვას: вилик „-მდე“, „წინ“, галаз „თან“, „ერთად“...

ნაწილაკი

ნაწილაკი შეიძლება იყოს არანაწარმოები (ერთმორფემიანი) ან ნაწარმოები (რომელიც ორ ან მეტ მორფემას შეიცავს). ფუნქციის მიხედვით ნაწილაკი იყოფა შვიდ ჯგუფად:

- 1) კითხვითი (-ни, -жал, -бес, -ман, -тла, -яраб);
- 2) ჩვენებითი (ингье „აი“ (ახლოს მყოფი), атІангье „აი“ (შორს მყოფი), агъангье „აი“ (დაბლა მყოფი), винингье „აი“ (მაღლა მყოფი);
- 3) განსაზღვრელობითი (къван „რამდენია“, „-მდე“, анжах „მხოლოდ“;
- 4) მიგებითი (эхь „კი“, гьелбетда „რა თქმა უნდა“);
- 5) უარყოფითი (ваъ „არა“, бежагъат „საეჭვოა“);

6) შედარებითი (хъиз „როგორ“, къван „ისევე როგორც“, „მსგავსად“, хътин „მსგავსად“, „როგორც“);

7) გაძლიერებითი (декІени „კარგი იქნებოდა“, валлагъ „ვფიცავ“, мегер „ნუთუ“, хьи „ხომ“).

კავშირი

კავშირები ლეზგიურ ენაში არ არის მრავალრიცხოვანი. ამის მიზეზია, რომ მათი ფუნქციით ხშირად სხვადასხვა სახელური და ზმნური ფორმები გვევლინება. ყველაზე გავრცელებულია პოსტპოზიციური კავშირ-ნაწილაკი **-ნი**, რომელიც სიტყვებსა და წინადადებებს ერთმანეთთან აკავშირებს (Деве-**ни**, сикІ-**ни**, жанавур-**ни** სევ „აქლემიც, მელიაც, მგელიც, დათვიც“). იმავე ფუნქციით გვევლინება ნასესხები კავშირი **ва**. მარტივ კავშირთა უმეტესობა ნასესხებია: ки/хьи „რომ“, амма „მაგრამ“, нагагъ „თუ“, эгер „თუ“, гагъ... гагъ 'ან...ან'.

ბევრი რთული სტრუქტურის კავშირი არის გადააზრებული ნაცვალსახელი, ზმნისართი ან შესიტყვება, მაგ.: гъакІ „ასევე“, „აგრეთვე“; гъакІни (гъакІ + ни) „ასევე“, „აგრეთვე“, вучиз лагъайтІа „იმიტომ რომ“, акІ хъайила „მამინ“, „იმ შემთხვევაში“, ва гъакІни „ამის გარდა“, гъавиляй; гъаниз килигна „იმიტომ“, налугъуди „ვითომ“ და სხვ.

შორისდებული

შორისდებულებს მიეკუთვნება მარტივი აგებულების ლექსემათა წყება ლეზგიურ ენაში: еъ - გამოხატავს სასიამოვნო გაკვირვებას, гагъ - სასიამოვნო გაკვირვება ან წყენა, йаъ - იმედგაცრუებას, уф - დაღლილობას და ა.შ. შორისდებულთა ფუქციით შეიძლება მოგვევლინოს რთული კონსტრუქციებიც, რომელიც ორი ან მეტი კომპონენტისაგან შედგება: вай гъарай - საშველად ხმოზა, пагъ бабай - იმედგაცრუება. აქვე შედის მისალმებისა და მოლოცვის და სხვა ფორმულები, რომელთაგან ბევრი ნასესხებია: хвашкалди „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“, хийирап „გამარჯობა“, мубаракрай „გილოცავ“, валлагъ „ღმერთს ვფიცავარ“ და ა.შ. შორისდებულთა განსაკუთრებული

ჯგუფია ცხოველთა ხმობასთან ან გარეკვასთან დაკავშირებული შემახილები, მაგ., бали - მიერეკებიან კამეჩებს, вагъа - აჩერებენ კამეჩებს, ძროხებს, гъай - „აჩუ“ და სხვ. მისთ.

სინტაქსი

ლეზგიური ენის სინტაქსური სტრუქტურა თავისებურია. ის დიდწილად განპირობებულია ერგატიული კონსტრუქციით, თუმცა ამით მისი თავისებურებები არ ამოიწურება. საერთოდადესტნური სინტაქსური სისტემის განვითარების გარდა, ლეზგიური ენის სინტაქსურ სტრუქტურაში შესამჩნევია უცხო ენათა გავლენაც. ეს, უპირველეს ყოვლისა, თურქულ ენებზე ითქმის, თუმცა ბოლო დროს ანგარიშგასაწევია რუსული ენის გავლენაც.

ლეზგიურ ენაში შესიტყვებათა შორის დასტურდება შემდეგი სახის სინტაქსური კავშირები: შეთანხმება, მართვა და მირთვა. შეთანხმება იშვიათია, წინადადებაში კავშირის ძირითადი საშუალებებია მართვა და მირთვა. შეთანხმება გვხვდება მხოლოდ შედგენილი სახელური შემასმენლის სახელურ ნაწილსა ან ბრძანებითი კილოს ფორმით წარმოდგენილ შემასმენელსა და ქვემდებარეს შორის რიცხვში.

წინადადება შეიძლება იყოს მარტივი და რთული.

მარტივი წინადადება. მარტივი წინადადება შეიძლება შედგებოდეს ერთი, ორი ან რამდენიმე სიტყვისაგან. ორი ან რამდენიმე სიტყვისაგან შემდგარი მარტივი წინადადება შეიძლება იყოს მარტივი გაუვრცობელი და მარტივი გავრცობილი. მარტივ გაუვრცობელ წინადადებაში გვაქვს წინადადების ორივე მთავარი წევრი - შემასმენელი და ქვემდებარე, ხოლო მარტივ გავრცობილში - წინადადების მეორეხარისხოვანი წევრებიც. მარტივი გავრცობილი წინადადება ორ ჯგუფად იყოფა - შემასმენლის ჯგუფად (პრედიკატული სინტაგმა) და ქვემდებარის ჯგუფად (ატრიბუტული სინტაგმა).

წინადადებაში შეიძლება შემდეგი სახის ტიპები გამოვყოთ:

წართქმითი და უარყოფითი, შდრ.: Диде йиф-югъ шехъзавай „დედა დღე და ღამე ტიროდა“; Амма Салигъ хкетривай тух хъанвачир „მაგრამ სალიხს არ ეყო ზღაპრები“...

გამონათქვამის მიზეზის მიხედვით გვაქვს თხრობითი, კითხვითი და ბრძანებითი წინადადებები, შდრ.: Са гьафтедилай зулумди ам лукIვიлиз маса гана „ერთი კვირის შემდეგ ტირანმა მონობაში გაყიდა“ (თხრ.); И дуьньядал виридалай гужлуди, лагь, вуч я, бала? „ამ სამყაროში ყველაზე ძლიერი რა არის, მიმთარი ბავშვო“ (კითხ.); Мердан, жуван ящик иниз аъваш! „მერდან, მოიტანე აქ ყუთი“.

ემოციური დათვირთვის მიხედვით ამ რიგს შეიძლება ძახილის წინადადება დავუმატოთ: Заз адан паб жез кIанзавач! „მე არ მინდა მისი ცოლობა“...

წინადადების წევრები

ქვემდებარე. გამოხატულია, როგორც წესი, არსებითი სახელით, თუმცა შეიძლება იყოს გასუბსტანტივებული ზედსართავი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, მიმღეობა და მასდარი. ქვემდებარე ლეზგიურში წარმოდგენილია ოთხი ბრუნვის ფორმით: სახელობითით, ერგატივით, მიცემითით და ადგილობითი ბრუნვით.

ქვემდებარე სახელობითშია თუ შემასმენელი გარდაუვალი ზმნაა, მაგ., Чуьллериз яру-цIару цуьквер акъатна „მინდვრებში სხვადასხვა ფერის ყვავილები გაიშალა“; Диде йиф-югъ шехъзавай „დედა დღე და ღამე ტიროდა“; Поезд юзана „მატარებელი დაიძრა“; Ин йифиз Къагъруман ин къеледа къаткана „იმ ღამეს ყაჰრიმანი დაწვა იმ ციხეში“; Зулун мекъ квай йикъар тир „იყო შემოდგომის ცივი დღეები“...

ქვემდებარე ერგატივშია თუ შემასმენელი წარმოდგენილია გარდამავალი ზმნით. ასეთ დროს პირდაპირი დამატება გვექნება სახელობითი ბრუნვის ფორმით გადმოცემული, მაგ., пул жугъурна „მე ფული ვიპოვე (ძებნის შემდეგ)“; абурун дуван за аквада „მე მათ სასამართლოს მივაღვევებ თვალს“...

გვაქვს ლაბილური ზმნების ჯგუფი, რომელიც შეიძლება იყოს როგორც გარდაუვალი, ისე გარდამავალიც: атIун „წყვეტა“, „გაწყვეტა“, кун „წვა“, „დაწვა“, къазунун „ხევა“, „გახევა“, кьин „მოკვლა“, „მოკვდომა“, къურун „შრობა“, „გაშრობა“, ругун 1) „დუღება“, „ადუღება“, 2) „ხარშვა“, „მოხარშვა“, хун 1) „მტვრევა“, „დამტვრევა“, 2) „შობა“, „დაბადება“, чурун „ცხოვა“, „გამოცხოვა“, регъуьн „ფხვნა“, „დაფხვნა“, экъичун „ღვრა“, „დაღვრა“ და ზოგიერთი სხვა.

ლეზგიურ ენაში აფექტური კონსტრუქციაც გვხვდება, რომელიც მოითხოვს ქვემდებარეს მიცემით ბრუნვაში. ეს კონსტრუქცია ე.წ. გრძნაობა-აღქმის ზმნებთან

დასტურდება: აკუნ „ხედვა“, ბегენმიш ხუნ „მოწონება“, бизар ხუნ „მობეზრება“, ван ხუნ // ატუნ „სმენა“, кичIе ხუნ „შეშინება“, кIан ხუნ „ნდომა“, „ყვარება“, кIамаз ხუნ „წყენა“, хвеши ხუნ „გახარება“, хъел ხუნ//ატუნ „გაბრაზება“, шад ხუნ „გახარება“; жугъун „პოვნა“, „პოვნისებობა“, кIамукъун „მოსაკლისება“; чир ხუნ „ვნება“, язух ხუნ „შეცოდება“, ахвар ატუნ „დაძინება“, гишин ხუნ „მოშობა და ზოგიერთი სხვა.

კიდევ ერთი წინადადების კონსტრუქცია, რომელიც დასტურდება ლეზგიურში არის პოსესიური, თუმცა ქვემდებარე ამ კონსტრუქციაში წარმოდგენილია არა გენტივის ფორმით, არამედ – ლოკატივის: **Адахъ** са къарини пуд хва авай „მას (ზედმიწ. მასთან) ჰყავდა ცოლი და სამი შვილი“.

შემასმენელი. შემასმენელი შეიძლება იყოს ზმნური (მარტივი და შემდგენილი) და სახელური (შედგენილი).

მარტივი ზმნური შემასმენელი ლეზგიურ ენაში გამოხატულია თხრობითი, ბრძანებითი ან ზოგიერთი სხვა კილოს ფორმით.

შედგენილი ზმნური შემასმენელი ლეზგიურ ენაში, როგორც წესი, არის ზმნის დრო-კილოიანი ფორმისა და ინფინიტივისაგან (მიზნობრივი ფორმის) შეთხზული: СикI мукъаятвилелди **ракъарай акъудиз** башламишна „მილიამი ფრთხილად დაიწყო გამოხსნა ხაფანგიდან“; Инсанар яваш-яваш **уях жез** „ადამიანებმა ნელ-ნელა დაიწყეს გაღვიძება“; ზოგჯერ ინფინიტივს ცვლის აბსოლუტივი: КIвале авай игътиятар вири **тIуьна** куьтягъ хъана „სახლში არსებული მარაგი სულ შეჭამეს (ზედმიწ. შეჭამეს-რა დაამთავრეს)“...

სახელური შედგენილი შემასმენელი შედგება სახელური ნაწილისა და მეშველი ზმნისგან. სახელური ნაწილი შეიძლება იყოს წარმოდგენილი არსებითი სახელით, ზედსართავი სახელითა ან ნაცლავსახელით: Ам вири халкъдиз кIандай **кас тир** „ის ყველას უყვარდა“ (ზედმიწ. მთელი ხალხით საყვარელი **ადამიანი იყო**); Лезги хуърера дуланажагъ **юхсул хъанвай** ლეზგიურ სოფლებში ცხოვრება გაღარიბდა (ზედმიწ. **ხდებოდა ღარიბი**); Ихтияр гила **ви-ди я** „ახლა ნება შენი [არის]“...

სახელური შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილია ხშირად ზმნა ხუნ „ყოფნა“. ამას გარდა, ამ ფუქციით გვევლინება ზმნები амукъун „დარჩენა“, ატუნ „მოსვლა“, „კეთება“ და ზოგიერთი სხვა.

პირდაპირი დამატება. პირდაპირი დამატება ლეზგიურ ენაში, ისევე როგორც თითქმის ყველა დაღესტნურ ენაში, წარმოდგენილია არსებითი სახელისა და მასთან გათანაბრებული სიტყვით სახელობითი ბრუნვის ფორმით (resp. „წმინდა ფუძით). ეს მას მკვეთრად განასხვავებს ირიბი დამატებისაგან. პირდაპირი დამატება შეიძლება იყოს მხოლოდ გარდავალი ზმნით წარმოდგენილ შემასმენელთან.

იშვიათად პირდაპირი დამატება შეიძლება მიცემითი ან ადგილობითი III და ადგილობითი IV ბრუნვის ფორმით შეგვხვდეს, მაგ.: Гъар **намертдин** гъавурда къач „ყოველ **ნაძირალას** ვერ გავუგებ“...

წინადადების დამხმარე (მეორეხარისხოვანი) წევრები

ლეზგიურ ენაში წინადადების დამხმარე წევრებია განსაზღვრება, ირიბი დამატება, გარემოება.

ირიბი დამატება შეიძლება იყოს გამოხატული თითქმის ყველა ირიბი ბრუნვის ფორმით (ერგატივის გარდა). ყველაზე ხშირად ირიბი დამატება გადმოიცემა მიცემითი და ლოკატიური ბრუნვებით: Пакамахъ фад **аскврриз** чими хуърек гана „ადრე დილით **ჯარისკაცებს** (მიც.) მისცეს ცხელი საჭმელი“; მაგრამ: Ада трубка **связистдив** вахкана „მან მისცა ყურმილი **კავშირგაბმულობის მუშაკს** (ადგ. I)“.

განსაზღვრება გადმოიცემა ზედსართავი და რიცხვითი სახელებით, ნაცვალსახელით, მიმღეობით, არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმით, ზოგჯერ კი – სახელობითი ბრუნვის ფორმითაც. განსაზღვრება ლეზგიურ ენაში ყოველთვის პრეპოზიციურია, უცვლელია და არ ეთანხმება საზღვრულს არც ბრუნვაში და არც რიცხვში.

გარემოება

ვითარების გარემოება. ეს გარემოება ლეზგიურ ენაში გამოხატულია:

ა) შესაბამისი ზმნისართებით: Пачагъди вичин раятар **шадвилелди** къаршиламишна „მეფემ თავისი ქვეშევრდომები **სიხარულით** მიიღო“...

ბ) არსებითი სახელის ბრუნვა-თანდებულებიანი ფორმებით: Рухвайри Аслан **гъуърметалди** кучудна „შვილებმა ასლანი **პატივით** დაკრძალეს“...

გ) შედარებითი კონსტრუქციებით (კავშირით ხьиз „როგორც“, „მსგავსად“): За вун женнетда авайди хьиз хуьда „მე შენ როგორც სამოთეში, ისე გაცხოვრებ“...

რაოდენობის გარემოება. ამ ტიპის გარემოების ფუნქციით გვევლინება ზმნისართები, არსებითი სახელის სხვადასხვა ბრუნვის ფორმები და სხვ.: Абыру са шумуд сеферда Сафаралидал гьужумар авуна „მათ რამდენიმეჯერ საფარლის დაესხსხნენ თავს“...

მიზეზის გარემოება გამოხატულია ერგატივის, აბლატივის ფორმებითა და სახელზმნური კონსტრუქციებით: И кар ада ви гьуьрметдай авуна „ეს მან გააკეთა შენი პატივისცემის გამო“...

